172/2
1939

სსსრ განათლების სახალხო
კომისარიატის ბრძანებათა და
განკარგულებათა

კრებული

№ 9—10 სექტემბერი—ოქტომბერი 1939 წ.

3535

შინაარსი

1. ბრძანება № 5615—უმაღლესი სასწავლებლების დაუსწრებელი განყოფილებების მუშაობის შესახებ 2
2. ინსტრუქცია—უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგიური განყოფილებების 1938/39 საგაზ. წლის შედეგების და 1939/40 სასწ. წლის ამოცანების შესახებ 3
3. ინსტრუქცია—სკოლებსა და პედაგოგიურ სასწავლებლებში სამეურნეო მუშაობის დაყენების შესახებ 8
4. ბრძანება № 5683—1939/40 სასწავლო წლისათვის მზადებისა და 1 სექტემბერს სწავლების დაწყების შედეგების შესახებ . . . 10
5. ინსტრუქცია—პიონერების და მოსწავლეების სრ. საკ. სას.-სამ. გამოფენის მონაწილეთა დამტკიცების წესისა და გამოფენაზე მონაწილეობის პირობების შესახებ 14
6. ბრძანება № 5910—სკოლებში კლასგარეშე კითხვის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ 21
7. ბრძანება № 5716—წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაციის შესახებ ლენინგორის რაიონში 28

განსახკომი
თბილისი—1939

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 5615

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1939 წლის „27“ სექტემბერს.

უმაღლესი სასწავლებლების დაუსწრებელი განყოფილებების მუშაობის შესახებ.

უმაღლესი სასწავლებლების დაუსწრებელი განყოფილებების საორგანიზაციო და სასწავლო მუშაობის გარდაქმნის მიზნით **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს უმაღლესი სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი სადირექტივო წერილი „უმაღლესი სასწავლებლების დაუსწრებელი პედაგოგიური განყოფილებების 1938/39 სასწავლო წლის შედეგებისა და 1939/40 სასწავლო წლის ამოცანების შესახებ“.

2. განხილულ იქნეს აღნიშნული სადირექტივო წერილი უმაღლეს სასწავლებელთა სპეციალურ სამეცნიერო სხდომაზე, დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე, დაუსწრებელი განყოფილებების სტუდენტთა სარაიონო შეკრებაზე და მასწავლებელთა და განათლების სხვა მუშაკთა გადასამზადებელ კურსებზე და დასახელებულ იქნეს კონკრეტული ღონისძიებანი მის განხორციელების უზრუნველსაყოფად.

3. დაევალოს უმაღლეს სკოლების სამმართველოს და საქ. სახელმწიფო გამომცემლობის დირექციას ა. წ. 10 ოქტომბრამდე გამოსცენ ცალკე ბროშურად, აღნიშნული სადირექტივო წერილი ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე და საჭირო რაოდენობით გაუგზავნონ იგი ავტონომიურ რესპუბლიკათა სახალხო განათლების კომისარიატებს საქალაქო და რაიონულ განათლების განყოფილებებს, დაწყებით, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებს, პედაგოგიურ სასწავლებლებს და უმაღლეს სასწავლებელთა დირექციებს, კათედრებს და საკონსულტაციო პუნქტებს.

4. აღნიშნული სადირექტივო წერილი დაიბეჭდოს, აგრეთვე ჟურნალში „კომუნისტური აღზრდისათვის“ და გაზეთ „საბჭოთა მასწავლებლის“ უახლოეს ნომერში.

5. დაევალოს ვაზეთ „საბჭოთა მასწავლებელის“ რედაქციას სისტემატურად გააშუქოს თავის ფურცლებზე უმაღლესი სასწავლებელთა დაუსწრებელი განყოფილებების, სარაიონო საკონსულტაციო პუნქტების, განათლების განყოფილებების და ცალკეული დაუსწრებლების მუშაობა სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესრულების დარგში.

6. ა/წ 15 ოქტომბრიდან 25 ოქტომბრამდე ჩატარდეს დაუსწრებელი განყოფილებების სტუდენტთა გაერთიანებული სარაიონო თათბირები დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების დირექტორების (გამგეების), დირექტორების მოადგილეების, საკონსულტაციო პუნქტის გამგეების და განათლების ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად.

7. დაევალოს უმაღლეს სკოლების სამმართველოს, უმაღლესი სასწავლებლების დირექციასთან შეთანხმებით, ა/წ 1 ოქტომბრამდე წარმოადგინოს სია იმ პირებისა, რომლებიც უნდა იქნეს მიმაგრებული განსახკომის და უმაღლესი სასწავლებლებისაგან დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტთა გაერთიანებული სარაიონო თათბირისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

8. დაუსწრებელი განყოფილების სარაიონო საკონსულტაციო პუნქტების გამგეებმა ერთი დეკადის ვადაში შეადგინონ საკონსულტაციო პუნქტების კალენდარული სამუშაო გეგმა და იგი განათლების განყოფილე-

ბასთან შეთანხმების და უმაღლეს სასწავლებლების დირეკციის დამტკიცების შემდეგ გაუგზავნონ დაუსწრებელს სახელმძღვანელოდ.

9. დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტებს მიეცეს უპირატესობა საქ. განსახკომის სისტემაში შემავალ ბიბლიოთეკებიდან სახელმძღვანელო წიგნებით სარგებლობისა, ვადით ერთიდან ორ თვემდე.

10. ამ ბრძანებებისა და სადირექტივო წერილის შესრულების მეთვალყურეობა და შემოწმება დაევალოს განსახკომის მოადგილეს ამხ. ლ. გეგეშიძეს.

საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი

გ. კიკნაძე

აფხაზეთის და აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განსახკომებს, საძალაქო და სარაიონო განათლების განყოფილებათა გამგეებს და უმაღლეს სასწავლებელთა დირექტორებს.

უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგიური განყოფილებების 1938/39 სასწავლო წლის შედეგებისა და 1939/40 სასწავლო წლის ამოცანების შესახებ

საქ. განსახკომის უმაღლეს სკოლების დაუსწრებელი პედაგოგიური განყოფილებების 1938/39 სასწავლო წლის შედეგები ადასტურებს უმაღლესი დაუსწრებელი პედაგოგიური სწავლების ხარისხისა და დაუსწრებელი სასწავლებლების ავტორიტეტის საგრძნობ ზრდას. სწავლების ორგანიზაციამ უმაღლეს დაუსწრებელ პედაგოგიურ სასწავლებლებში თავისი დანიშნულება გაამართლა და მან თვალსაჩინო როლი შეასრულა პედაგოგიური მუშაობიდან მოუწყვეტლად კვალიფიციური პედაგოგიური კადრების მომზადების საქმეში. მარტო გასულ სასწავლო წელს უმაღლესი პედაგოგიური განათლება დაუსწრებელ განყოფილებებში 153 კაცმა მიიღო (მათშორის 64 კაცმა წარმატებით ჩაბარა სახელმწიფო გამოცდები). ამჟამად ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების დაუსწრებელ განყოფილებებში საბჭოთა სკოლის 7,000 მასწავლებელი იძენს უმაღლეს პედაგოგიურ ცოდნას. მასწავლებელთა ეს დიდი არმია, მიღებულ ცოდნის შედეგად, ყოველდღიურად აუმჯობესებს თავის მუშაობას ჩვენი ახალთაობის კომუნისტური სწავლა-აღზრდის ხარისხის გაზრდის უზრუნველსაყოფად.

მიუხედავად აღნიშნული წარმატებებისა, განსახკომის უმაღლეს სასწავლებლების დაუსწრებელი განყოფილებების გასული 1938/39 სასწავლო წლის მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს მთელ რიგ მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს.

1. საგრძნობლად დიდია უმაღლეს სასწავლებელთა დაუსწრებელი განყოფილებებიდან სასწავლო წლის პერიოდში გარიცხული სტუდენტთა რაოდენობა. განსახკომის უმაღლეს სკოლების დაუსწრებელ განყოფილებებში 1938/39 სასწ. წლის დასაწყისისათვის ირიცხებოდა სულ 7,565 სტუდენტი, (4,038 კაცი სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და 3527 კაცი წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედინსტიტუტში), სასწავლო წლის დასასრულისათვის მათში გაერთიანებულ სტუდენტთა რაოდენობა 5755 კაცამდე შემცირდა. (სახ. უნივერსიტეტში — 3,660 სტუდენტი და ქუთაისის პედინსტიტუტში— 2,095 სტუდენტი) ამ რიგად უმაღლეს სკოლას ჩამოშორდა 1,810 დაუსწრებელი სტუდენტი. (სახ. უნივერსიტეტში — 378 კაცი, სტუდენტთა საერთო რაოდენობის 14% და ქუთაისის პედინსტიტუტში — 1,432 კაცი სტუდენტთა საერთო რაოდენობის 40,3%).

2. დარღვეულია უმაღლეს სასწავლებელთა დაუსწრებელ განყოფილებებში საკ. სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა საკავშირო კომიტეტის მიერ დამტკიცებული საშტატო განაკვეთების ცხრილი, ასე მაგ; უმაღლესი სკოლის საქმეთა საკ. კომიტეტის მიერ სტალინის სახელობის თბილი-

სის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელი განყოფილების შტატში 1938/39 სასწავლო წლისათვის დამტკიცებული იყო პროფესორი შეთავსებით — 26, დოცენტი ძირითად შტატში — 2, დოცენტი შეთავსებით — 101 და ასისტენტი — 25. ფაქტიურად დაუსწრებელ განყოფილებას ჰყავდა პროფესორი ძირითად შტატში — 2, პროფესორი შეთავსებით — 1, დოცენტი შეთავსებით — 17, უფროსი მასწავლებელი ძირითად შტატში — 7 შეთავსებით — 35 და ასისტენტი — 14.

წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილებისათვის დამტკიცებული იყო დოცენტი შეთავსებით 84, ასისტენტი—16, ფაქტიურად ათვისებული იყო დოცენტი შეთავსებით 21—ასისტენტი — 7,6.

3. ჯერ კიდევ დაბალია დაუსწრებელი განყოფილებებში გაერთიანებულ სტუდენტთა აკადემიური წარმატებების მაჩვენებლები. სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის დაუსწრებელი განყოფილების 3,554 სტუდენტიდან გასული სასწავლო წელს საზაფხულო სესიაზე გამოცხადდა 2,628 კაცი. (არ გამოცხადდა — 926 სტუდენტი). გამოცხადებულებისაგან ყველა საგაღლებულო საგნები ჩაბარა მხოლოდ — 678 სტუდენტმა (მათ შორის ყველა საგანში „ფრიადი“ შეფასება მიიღო — 73 კაცმა), წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილების 2,052 სტუდენტიდან საზაფხულო სესიაზე გამოცხადდა 1,262 კაცი (არ გამოცხადდა — 790 სტუდენტი). აქედან ყველა საგაღლებელო საგნები ჩაბარა მხოლოდ 375 კაცმა (მათ შორის ყველა საგანში შეფასება „ფრიადი“ მიიღო 12 სტუდენტმა).

4. არადამაკმაყოფილებლად სწარმოებს დაუსწრებელ განყოფილებებში სახელმწიფო გამოცდებისათვის მზადება და თვით სახელმწიფო გამოცდების ჩაბარებაც. სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის დაუსწრებელი განყოფილების 96 ძველი კურსდამთავრებულთაგან სახელმწიფო გამოცდები იელისში მხოლოდ 56 კაცმა ჩაბარა. მათშორის პირველ ხარისხის დიპლომი მიიღო მხოლოდ 11 კაცმა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედინსტიტუტის 57 კურსდამთავრებულთაგან სახ. გამოცდები მხოლოდ 8 კაცმა ჩაბარა (მათშორის პირველი ხარისხის დიპლომი არცერთს არ მიუღია).

5. უმაღლეს სასწავლებელთა დაუსწრებელი განყოფილებები არ არის უზრუნველყოფილი სასწავლო პროგრამებით და ძირითადი სახელმძღვანელოებით. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელი განყოფილების ყველა ფაკულტეტების არსებული სასწავლო გეგმებით სულ 312 საგანი იკითხება, რომელთაგანაც პროგრამებით უზრუნველყოფილია მხოლოდ 220 სასწავლო საგანი (სასწავლო საგნების 63,7%) პროგრამები არარის 96 საგანში, ხოლო არსებულ სასწავლო პროგრამებსაც დაუსწრებელნი დიდი დაგვიანებით ღებულობენ. გაცილებით უარესი მდგომარეობაა დაუსწრებელი განყოფილებების სტუდენტების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის დარგში.

6. დაუსწრებლებს არ ეძლევათ განაკვეთები, მეთოდური წერილები და დიდი დაგვიანებით ღებულობენ ისინი, აგრეთვე საკონტროლო თემებსაც. ამის გამო დაუსწრებლები მათს დამუშავებას ვერ ასწრებენ. სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელ განყოფილების სტუდენტებს გასული სასწავლო წლის განმავლობაში მიეცათ სულ 7,085 საკონტროლო სამუშაო, რომელთაგან შესრულების სახით დაუსწრებელ განყოფილებას მხოლოდ 884 საკონტროლო თემა დაუბრუნდა. ამავე პერიოდში ქუთაისის პედინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტებს. — 3,636 საკონტროლო თემა მიეცათ, რომელთაგან ინსტიტუტმა სასწავლო წლის დასასრულამდე მხოლოდ 559 საკონტროლო სამუშაო მიიღო.

7. სრულიად არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ და სუსტად ეხმარებიან დაუსწრებელ პედაგოგიურ სწავლებაში ჩაბმულ სტუდენტებს სახალხო განათლების საქალაქო და რაიონული განყოფილებები. ისინი ნაკლებად ზრუნავენ მასწავლებელთა

დაუსწრებელ სწავლებაში გაერთიანებისა და დაუსწრებელთათვის სასწავლო მუშაობის პერიოდში დახმარების აღმოჩენისათვის. არ აძლევენ დაუსწრებლებს კანონით დაწესებულ შვებულებებს და ზედმეტად ტვირთავენ მათ სხვადასხვა ხასიათის დავალებებით. ბორჯომის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ საქ. განსახკომის ჩარევის გარეშე არ მისცა კუთვნილი შვებულება სახელმწიფო გამოცდების ჩასაბარებლად სახ. უნივერსიტეტის დაუსწრებელ განყოფილების ისტორიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულ სკოლის დირექტორს ამბ. ონუფრიადს. ზოგიერთ განათლების განყოფილებებმა დახმარების ნაცვლად, ხელი შეუშალეს დაუსწრებელ განყოფილებებს სტუდენტთა საგამოცდო სესიაზე გამოცხადების საქმეში. მათ დაუსწრებელ განყოფილების სტუდენტები საგამოცდო სესიების პერიოდში კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე გაგზავნეს მსმენელად. ხელოს, ვანის, გალის, ბათუმის, ზუგდიდის ოჩამჩირის, გეგეჭკორის და თვით ქუთაისის განათლების განყოფილების გამგეებმა ქუთაისის პედინსტიტუტის დირექციას ცნობებიც კი არ მიაწოდეს იმის შესახებ თუ რატომ არ გამოცხადდენ სტუდენტები საგამოცდო სესიებზე, განათლების განყოფილებებმა, დროულად არ მისცენ დაუსწრებელ სტუდენტებს ის ცნობებიც, რომელიც საჭირო იყო მათთვის საკომპენსაციო თანხის მისაღებად.

8. ძალზე სუსტად მუშაობენ უმაღლეს სასწავლებელთა დაუსწრებელი განყოფილებების სარაიონო საკონსულტაციო პუნქტებიც. პუნქტის გამგეთა უდიდესი უმრავლესობა გადატვირთულია სხვა სამუშაოებით და ნაკლებად ზრუნავს დაუსწრებელთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. საკონსულტაციო პუნქტებში ხშირად იშლება გეგმით გათვალისწინებული კონსულტაციები დაუსწრებელთა გამოუცხადებლობის (გორი და კასპი) და საკონსულტაციო აუდიტორიების უქონლობის გამო (ბორჯომი და სხვა).

9. არ არის განხორციელებული სისტემატური კონტროლი და ხელმძღვანელობა დაუსწრებელი პედაგოგიური განყოფილებების მუშაობისადმი. უმაღლეს სასწავლებელთა დირექციებისა, დეკანებისა და კათედრათა გამგეების მხრივ დაუსწრებელი სწავლების ძირითადი ხასიათის ნაკლოვანებათა უმრავლესობა ამ გარემოებით არის გამოწვეული.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, უმაღლეს სასწავლებლების დაუსწრებელი განყოფილებების მუშაობის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესების და ამ დარგში არსებულ დეფექტების დროულად აღმოფხვრის მიზნით, საქ. განათლების სახალხო კომისარიატს საჭიროდ მიაჩნია გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. აფხაზეთის და აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის საოლქო განსახკომებმა, საქალაქო და სარაიონო განათლების განყოფილებებმა, და იმ უმაღლეს სასწავლებელთა დირექტორებმა, რომლებთანაც დაუსწრებელი პედაგოგიური განყოფილებები არის ჩამოყალიბებული მთელ თავიანთ მუშაობას უმაღლესი დაუსწრებელი სწავლების ორგანიზაციის დარგში საფუძვლად დაუდვან სსრკ სახკომსაბჭოს 1938 წლის 29 აგვისტოს დადგენილება „უმაღლესი დაუსწრებელი სწავლების შესახებ“ და მათი შემდგომი მუშაობა მიმართონ ამ დადგენილების სრულად და უნაკლოდ განხორციელების უზრუნველსაყოფად.

2. 1939/40 სასწავლო წლის დასაწყისიდან დაწესდეს უმაღლეს სასწავლებელთა დაუსწრებელ განყოფილებისათვის სასწავლო წლის შემდეგი ერთიანი სტრუქტურა.

ა) წინასწარი, სამუშაო გეგმის მომცემი შეკრება (კონფერენცია) პირველ კურსებზე ახლად მიღებულ დაუსწრებელთათვის, 10 დღის ხანგრძლივობით 15 ივლისიდან 25 ივლისამდე.

ბ) საზამთრო სესიები, 10 სასწავლო დღის ხანგრძლივობით, სკოლების საზამთრო არდადეგების პერიოდში, 31 დეკემბრიდან 10 იანვრამდე.

გ) საზაფხულო სესიები, 30 სასწავლო დღის ხანგრძლივობით, 25 ივნისიდან 31 ივლისამდე.

დ) კონსულტაციები, 10 სასწავლო დღის ხანგრძლივობით წელიწადში: ხუთი დღის ხანგრძლივობით სასწავლო წლის პირველ ნახევარში წყვეტილად და ხუთი დღის ხანგრძ-

ლიეობით სასწავლო წლის მეორე ნახევარში სკოლების საგაზაფხულო არდადეგების პირველ პერიოდში უწყვეტად.

3. აფხაზეთის და აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განსახკომმა, საქალაქო და სარაიონო განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ზუსტად აღრიცხონ ყველა ის მასწავლებლები, რომელნიც ა/ს სა'შ. და საშუალო სკოლებში მუშაობენ და სახ. განათლების სხვა დარგის მუშაკებიც, რომლებიც თანამდებობრივი მდგომარეობით უმაღლეს პედაგოგიურ განათლებას საჭიროებენ და მათ შორის შესაფერისი ახსნა-განმარტების ჩატარებით უზრუნველყონ მათი უმაღლესი დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმა დაუსწრებელი განყოფილების მომავალ დაკომპლექტების დროისათვის, 1940 წლის 10 ივლისამდე.

ბ) სისტემატური კონტროლი და ხელმძღვანელობა გაუწიონ უმაღლეს დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმულ სტუდენტებს მათი სასწავლო გეგმების და პროგრამების შესრულების საქმეში. ამ მიზნით პერიოდულად მოაწყონ მათი სარაიონო შეკრებები და აწარმოონ ინდივიდუალური საუბრები მათთან .

ზ) უზრუნველყონ დაუსწრებელთათვის დეკადაში ოთხი თავისუფალი საღამოს გამოყოფა მათი დამოუკიდებელი მუშაობისათვის.

დ) აღმოუჩინონ აუცილებელი დახმარება უმაღლეს სასწავლებლებს დაუსწრებელთა შორის მუშაობის დარგში საჭირო ღონისძიებათა გასატარებლად, დროულად მიაგზავნონ დაუსწრებლები საგამოცდო სესიებსა და სახელმწიფო გამოცდებზე, აღკვეთონ დაუსწრებელი განყოფილებების სტუდენტთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე გაგზავნის პრაქტიკა.

ე) თანახმად სსრკ სახკომსაბჭოს 1938 წლის 29 აგვისტოს დადგენილებისა უყოყმანოდ უზრუნველყონ შეებულების მიცემა დაუსწრებელ განყოფილებების იმ კურსდამთავრებულთათვის, რომლებიც სახელმწიფო გამოცდების ჩასაბარებლად მიემგზავრებიან;

ვ) სისტემატურად უხელმძღვანელონ ადგილობრივ საკონსულტაციო პუნქტებს და უთმონ მათ შესაფერისი ბინები, გამოუყონ მათთვის კვალიფიციური კონსულტანტები, მოამარაგონ პუნქტები აუცილებელი ლიტერატურით და უზრუნველყონ მათში საკონსულტაციო მუშაობის ჩატარება, უმაღლესი სასწავლებლების დირექციის მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით, გაცდენების საბოლოოდ ლიკვიდაციით;

4. დაწყებითი სკოლების გამგეებმა, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების დირექტორებმა აღმოუჩინონ სისტემატური დახმარება დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმულ მასწავლებლებს და ამ მიზნით განახორციელონ შემდეგი:

ა) უზრუნველყონ დაუსწრებელთათვის დეკადაში ოთხი თავისუფალი საღამოს გამოყოფა;

ბ) დროულად და დაუბრკოლებლად მიაგზავნონ მასწავლებლები საკონსულტაციო და საგამოცდო სესიებზე.

გ) დაახმარონ დაუსწრებლებს სწავლის პროცესში, განსაკუთრებით საგამოცდო პერიოდში, ამავე სკოლის უფრო გამოცდილი და კვალიფიციური მასწავლებლები;

დ) დაჯილდოებით უფროს კლასებში სამუშაოდ გადაყვანით და სხვა საშუალებებით წაახალისონ ის დაუსწრებელი სტუდენტები, რომლებიც თავიანთ სასწავლო გეგმას წარმატებით ასრულებენ.

5. უმაღლეს სასწავლებელთა დირექტორებმა:

ა) დროულად უზრუნველყონ დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტები სასწავლო გეგმებით და პროგრამებით, საკონსულტაციო თემების ვადაზე დაგზავნით და მოღებული ნამუშევრების რეცენზირებით, საკონსულტაციო და საგამოცდო სესიების ცხრილით, ლექციებისა, კონსულტაციებისა და გამოცდებისათვის შესაფერის ბინების შერჩევით და სხვა.

ბ) განახორციელონ სისტემატური ხელმძღვანელობა და კონტროლი დაუსწრებელი განყოფილების სასწავლო გეგმებისა და პროგრამების ვადაზე და მთლიანად შესრულების უზრუნველსაყოფად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მიიღონ ყველა საჭირო ზომა დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტთა მასობრივი განთესვისა და მათი მექანიკურად გარიცხვის საღიკვიდაციოდ. ამ მიზნით დროულად გაიფრთხილონ ისინი, რაიონების მიხედვით, განათლების განყოფილებებთან შეთანხმებით, პერიოდულად ჩაატარონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა დაუსწრებლებთან და უზრუნველჰყონ საგამოცდო სესიებზე მათი ორგანიზებულად გამოცხადება.

დ) დააკომპლექტონ დაუსწრებელი განყოფილებები მაღალ კვალიფიციურ პროფესორ-ლექტორებით;

ე) საფუძვლიანად შეამოწმონ რაიონული საკონსულტაციო პუნქტების მუშაობა დაუსწრებელთა შორის და შესცალონ იმ საკონსულტაციო პუნქტების ხელმძღვანელები, რომლებმაც ვერ უზრუნველყეს საკონსულტაციო პუნქტების ნორმალური მუშაობა;

ვ) განთავისუფლონ დაუსწრებელი განყოფილებანი დაუსწრებელი სტუდენტებისათვის სამეურნეო მომსახურეობის საქმისაგან და ეს საქმეთა მთლიანად დაიავალონ დირექტორის თანაშემწეს სამეურნეო-ადმინისტრატიულ დარგში.

ზ) პერიოდულად მოისმინონ დირექციისა და სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დაუსწრებელ განყოფილებანი, დეკანებისა და კათედრათა გამგეების ინფორმაციები და მათ მიერ დაუსწრებელი სწავლების დარგში ჩატარებული მუშაობის შედეგების შესახებ და დასახონ პრაქტიკული ღონისძიებანი მათი მოძაღალი მუშაობის გარდასაქმნელად.

თ) საკ. სახკომსაბჭოსთან არსებულ უმაღლესი სკოლების საქმეთა საკავშირო კომიტეტის დადგენილების საფუძველზე გააერთიანონ სტაციონალური და დაუსწრებელი განყოფილებების პროფესორ-ლექტორთა შტატი: ამ მიზნით გადისნიჭონ მათი საშტატო ფორმულიარები, შეამჭიდროონ საშტატო განაკვეთების ცხრილი და საბოლოოდ დაზუსტებული მთლიანი შტატი წარმოადგინონ განსახილველად ა/წ 25 სექტემბრამდე, იმ ვარაუდით, რომ ა/წ 29/9-მდე მოხერხდეს მათი წარდგენა დასამტკიცებლად უმაღლესი სკოლების საქმეთა საკავშირო კომიტეტში.

6. უმაღლეს სასწავლებელთა კათედრის გამგეებმა:

ა) დროულად შეარჩიონ პროფესორ-ლექტორები დაუსწრებელი განყოფილებებისათვის იმ სასწავლო დისციპლინებში, რომლებიც მათ კათედრის შემადგენლობაში შემოდიან და წარუდგინონ დირექციას;

ბ) განახორციელონ სისტემატურ-ოპერატიული ხელმძღვანელობა და კონტროლი დაუსწრებელ განყოფილებებში მომუშავე ლექტორების ლექციებსა, კონსულტაციებზე და გამოცდებზე, პერიოდულად მოისმინონ კათედრათა სხდომებზე ინფორმაციები მათ მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

გ) დაამუშაონ საკონტროლო თემები იმ სასწავლო საგნებში, რომლებშიაც სახელმძღვანელობები და დამხმარე ლიტერატურა მოიპოვება და დროულად უზრუნველყონ მიღებული საკონტროლო ნამუშევრების რეცენზირება — შეფასება;

დ) დაამუშაონ — საინსტრუქციო მეთოდური მითითებანი ლექტორებისათვის საკონტროლო ნამუშევრების გასწორებისა და რეცენზირების წესის შესახებ და უმაღლესი სასწავლებლის დირექციის დამტკიცების შემდეგ, მისცენ იგი სახელმძღვანელოდ ლექტორ-მასწავლებლებს.

საქ. განათლების სახალხო კომისარიატი მოითხოვს განათლების ხელმძღვანელი ორგანოების, საშუალო და უმაღლესი სკოლების დირექტორების, დაუსწრებელი განყოფილებების მუშაკების, პროფესორ-მასწავლებლებისა და დაუსწრებელ სწავლებაში გაერთიანებული სტუდენტებისაგან ენერგიულად დაირაზმონ მიმდინარე 1939/40 სასწავლო წლისათვის ყველა იმ ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად, რომელიც უმაღლეს სასწავლებლთა დაუსწრებელი განყოფილებების მუშაობას გასულ სასწავლო წელს ახასიათებდა.

საქ. განათლების სახალხო კომისარი:
ბ. კიკნაძე

უმაღლესი სკოლის სამმართველოს
უფროსის მოადგილე ვ. ქაჯაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსტრუქცია

სკოლებსა და პედაგოგიურ სასწავლებლებში საბუღალტრო მუშაობის დაყენების შესახებ

აფხაზეთის, აჭარის ასს რესპუბლიკის და სამხრეთ-ოსეთის ა. ოლქის განსახკომებს, რაიონულ (საქალაქო) განათლების განყოფილებათა გამგეებს და სკოლის დირექტორებს (გამგეებს).

სკოლებსა და პედაგოგიურ სასწავლებლებში სამეურნეო მუშაობის დაყენების შესახებ 1938 წლის 25 დეკემბერს გამოცემული ბრძანების (№ 5842) შესრულების მიმდინარეობის შემოწმების თვალსაზრისით გამოკვლეულ იქნა ყვარელის, ყარაიას, აბაშის, ხობის, ამბროლაურის, ტყიბულის, ვანის, ბაღდადის, კასპის, წალენჯიხის, ცხაკაიას, აღბულაღის, ლიუქსემბურგის, ახალციხის, სოხუმის, გაგრის, თბილისის და ბორჩალოს ზოგიერთი სკოლები და პედასასწავლებლები. ჩატარებულმა გამოკვლევებმა დაადასტურეს, რომ ბევრი სკოლის ხელმძღვანელი მუშაკები (სოხუმის საშუალო სკოლა, გაგრის ა/სრული საშუალო სკოლა, ტყიბულის საშუალო სკოლა, ბორჩალოს პედასასწავლებელი, კალმაშლეს ა/ს საშ. სკოლა — ბაშკიჩეთის რაიონი და სხვ.) ენერგიულად და კეთილსინდისიერად მოეკიდნენ სასკოლო მეურნეობის მოწესრიგების საქმეს, რის გამოც აღნიშნულ სკოლებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, კარგად და წესიერად არის მოვლილი სკოლის ინვენტარი, სუფთად არის შენახული ოთახების კედლები: არ არის წარწერები და არც დაზიანებულია; ეზოები შემორაგვული და სათანადოდ გამწვანებულია. სკოლები გარეგნულად ლამაზად არის გაფორმებული. მთელ რიგ სკოლებს (სოხუმის საშ. სკოლა, გაგრის ა/სრული საშ. სკოლა, ახალციხის საშუალო სკოლა და სხვ.) გაჩნიათ კარგად მოწყობილი ფიზიკულტურის მოედანი, პიონერთა ოთახი, რადიომიმღები (ცხაკაიას პედასასწავლებლები, სოხუმის საშ. სკოლა) აქვთ საკუთარი კლუბი, კინო აპარატი და სხვ.

თვალსაჩინოდ გაიზარდა მასწავლებლების პასუხისმგებლობა სასკოლო ქონების მოვლა-პატრონობის საქმეში და საგრძნობლად განმტკიცდა მოსწავლეთა შორის საზოგადო საკუთრებისადმი სოციალისტური დამოკიდებულების ჩვევები.

ზემოაღნიშნულ მიღწევებთან ერთად მთელ რიგ სკოლებში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სასკოლო მეურნეობის მოუწესრიგებლობას, ზოგჯერ კი სასკოლო ქონების მოვლა-პატრონობის საქმეში სრულ უპასუხისმგებლობასა და დაუდევრობას. ზოგი სკოლის დირექტორი (გამგე) და სკოლის სხვა მუშაკები არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას სასკოლო ქონების მოვლა-პატრონობის საქმეს, არ ზრუნავენ სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვისა და სკოლის შენობის შიგნითა და გარეხედის გამშვენიერებისათვის, რის შედეგად მთელ რიგ სკოლებში მერხები, დაფები, სკამები და ფანჯრები ჩამტვრეულია, ეზო შემოუღობავია, არ არის სკოლაში ასაველი კიბე, ჭერი ჩამნგრეულია, კედლები უსუფთაოა და სასკოლო ინვენტარი დანით დაჩეხილი. სრულიად უწესრიგო მდგომარეობაშია საპირფარეშოები, არ მოიპოვება წყლის ბაკები და სხვ. ასე, მაგალითად: გაგრის რაიონის კოლოხეთარის არასრული საშუალო სკოლის შენობა ახალია, მაგრამ უსუფთაოდ იყო შენახული, ფანჯრები ჩამტვრეული იყო, ეზო შემოუღობავი და სასკოლო ნაკვეთი გაპარტახებული, სკოლას არ აქვს საპირფარეშო, იმავე რაიონის წითელი ჯვრის დაწყებითი სკოლის დირექტორმა არუთინოვმა სასკოლო ოთახი შეშის საწყობად გადააქცია და იმავე ოთახის ერთ კუთხეში 4—5 მოსწავლე სივიწროვისა გამო ერთ მერხზე იჯდა. ყვარელის რაიონის საბუ-

ეს ა/ს სა'მ. სკოლაში სკოლის დირექტორის უპასუხისმგებლობის შედეგად მოსწავლეებს ცუდ პირობებში უხდებოდათ მეცადინეობა. კარები ჩამოგდებული, სასკოლო ოთახები დაუსუფთავებელი, მერხები და დაფები დამტვრეული, სოლას გაჩნია მიწის დიდი ნაკვეთი, მაგრამ იგი მოუვლელია. კასპის რაიონის საშუალო სკოლის შენობა დანაგვიანებული იყო, ღუმელი კი დანგრეული; წალენჯიხის საშუალოდ სკოლაში წვიმა ჩამოდიოდა და სახურავი დარღვეული იყო, დროულად არავის არ უზრუნია მის შეკეთებაზე, ამავ სკოლაში კაბინეტებს მოწყობილობანი დამტვრეული ეყარა იატაკზე, ხელსაწყოები ფუჭდება და იმტვრევა, საკლასო ოთახები სავსეა ქაღალდის ნაგლეჯებით და ნაგავით.

ვანის რაიონის გაღმა-ვანის დაწყებითი სკოლის შენობის სახურავი დაზიანებული იყო, კედლები ფარღალალა, შენობას ასასვლელი კიბე არ ჰქონდა, ბავშვები ჯერჩზე დაყრდნობით ადიოდენ აივანზე. ამბროლაურის რაიონის მუხლის დაწყებითი სკოლის ოთახები დანაგვიანებული იყო. საბ. ბიბლიოთეკების წიგნები მტვერში ეყარა. ასეთივე მდგომარეობა იყო წალენჯიხის, ახალციხის, ლუსქემბურგის, ვანის, აბაშის და ბაშკიჩეთის ზოგიერთ სკოლებშიაც.

აღვნიშნავთ, რომ აღნიშნული მდგომარეობა გამოწვეულია ზოგი სახალხო განათლების განყოფილების გამგის და სკოლის დირექტორის უმოქმედობით იმის შედეგად, რომ ზოგმა მათგანმა დღემდე ვერ შეაფასა სკოლების მეურნეობის მოწესრიგების უაღრესად დიდი მნიშვნელობა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ საფეხურზე აყვანის საქმეში და ვერ გაშალა სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მთელი საზოგადოებრივობის დარაზმვა სკოლების კეთილმოწყობისა და სასკოლო საკუთრების მოვლა-პატრონობის საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის.

იმ მიზნით, რათა სამეურნეო და სანიტარული მუშაობის საქმეს სისტემატურად ექცეოდეს ყურადღება საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. სკოლის დირექტორებმა (გამგეებმა) მიმდინარე წლის 15 ოქტომბრამდე გადასინჯონ სასკოლო ქონების აღრიცხვის აქტი, შეამოწმონ არის თუ არა მთელი ქონება გატარებული საინვენტარო წიგნში და უზრუნველყონ ინვენტარის წესიერად მოვლა-პატრონობის საქმე და დაზიანებული ინვენტარის დროულად შეკეთება.

2. განათლების განყოფილებათა გამგეებმა რაიაღმასკომის პრეზიდიუმის წინაშე დასვან საკითხი, რათა აღკვეთონ საკლასო ოთახებში რაიმე გარეშე კრებების ჩატარება, ხოლო აუცილებელ შემთხვევაში, როცა ასეთი კრებები ტარდება, სკოლის დირექტორებმა კრების მიმდინარეობის პროცესში პირადი ან მისი მოადგილის მორიგეობით უზრუნველყონ სასკოლო ინვენტარის დაცვა დამტვრევა-დაზიანებისაგან.

3. სკოლის დირექტორებმა (გამგეებმა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სასკოლო ეზოების მოვლა-დაცვას და არ დაუშვან ეზოების ნარგავების და სასკოლო ნაკვეთების გაფუჭება-დაზიანების არც ერთი შემთხვევა, განათლების განყოფილებამ დააწესოს სკოლებზე სისტემატური მეთვალყურეობა ამ ხაზით.

4. სკოლის დირექტორებმა, სათანადო სასწავლო დისციპლინის მასწავლებლებთან ერთად, სრულ წესრიგში მოიყვანონ კაბინეტების ხელსაწყო-იარაღები და მოაწყონ მათი შენახვა-დალაგება იმდაგვარად, რომ სავსებით დაცული იქნას დაზიანება-გაფუჭებისაგან.

5. სკოლის დირექტორებმა (გამგეებმა) და სასკოლო ბიბლიოთეკის გამგეებმა ჩაატარონ სკოლაში არსებული წიგნის ფონდის ზუსტი აღრიცხვა და უზრუნველყონ გაცემული წიგნების მთლიანად დაბრუნება. ბიბლიოთეკის გამგეებმა წესრიგში მოიყვანონ ბიბლიოთეკა და უზრუნველყონ წიგნის ფონდის შენახვა და სხვა.

6. სკოლის დირექტორებმა (გამგეებმა) დაიცვან სრული სისუფთავე სასკოლო ოთახებში, დერეფნებში, ეზოებში, საპირფარეშოებში, რისთვისაც სისტემატურად აწარმოონ ფანჯრების, კედლების, ჭერის, იატაკის და მთელი სასკოლო ინვენტარის დაწმენდა-და-

სუფთავება. გადაჭრით აღკეთონ სასკოლო ოთახებში და დერეფნებში შეშის დაწყობა და ოთახების საწყობად გამოყენება.

7. სრულ წესრიგში იქნეს მოყვანილი სამასწავლებლო ოთახები, სასკოლო კლუბები, პიონერთა ოთახები, ფიზკულტურის მოედნები, მიღებულ იქნეს ყველა საჭირო ზომები მათი უკეთ გაფორმება-გამშვენიერებისათვის.

8. სკოლების გამოსაკლელად მივლინებულმა ინსპექტორებმა სასწავლო მუშაობის შემოწმებასთან ერთად სისტემატურად შეამოწმონ სკოლებისა და პედაგოგიური სასწავლებლების მატერიალური-სამეურნეო მხარე, აღმოუჩინონ მათ კონკრეტული დახმარება და წარმოადგინონ მოხსენებითი ბარათები ამ მხრით სკოლებში არსებულ მდგომარეობის შესახებ.

9. მშობელთა და მოსწავლეთა საერთო კრებებზე განიხილონ საკითხი სასკოლო ქონების მოვლა-პატრონობის შესახებ და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი, რათა უზრუნველყოფილი იქნას ამ საქმეში მშობლებისა და მოწაფეთა აქტიური მონაწილეობა.

10. კლასის ხელმძღვანელებმა თავიანთ სამუშაო გეგმაში შეიტანონ სასკოლო ინვენტარის მოვლის საკითხი და მოსწავლეებში აღმზრდელობითი მუშაობის წარმოების გზით მიაღწიონ იმას, რომ კლასში არ ყოფილიყოს ერთ-გალი სასკოლო ინვენტარის გაფუჭების არც ერთი შემთხვევა.

11. სკოლის დირექტორებმა (გამგეებმა), სასწავლო ნაწილის გამგეებმა დაიწესონ სისტემატური მეთვალყურეობა სკოლაში სანიტარულ პიგიენურ პირობების დაცვისა და სასკოლო ქონების მოვლის საქმეში და გაფუჭების შემთხვევაში. დამნაშავეს დაიკისრონ დაზიანებული ინვენტარის საფასურის ანაზღაურება.

12. სკოლის დირექტორებმა (გამგეებმა) სკოლებს შორის სოციალისტური შეჯიბრების დროს აღებულ ვალდებულებებში ერთიერთ ძირითად მუხლად გაითვალისწინონ სკოლის კარმიდამოს სასკოლო შენობისა და მთელი ინვენტარის სანიმუშოდ მოვლა შენახვის საქმე, ხოლო კლასის ხელმძღვანელებმა, თავიანთ კლასების მიერ აღებულ სოციშეჯიბრის ვალდებულებაში, საკლასო ოთახისა და კლასის განკარგულებაში არსებული სასკოლო ინვენტარის სათანადო დაცვა-შენახვა.

განათლების სახ. კომისრის მოადგილე
ლ. გეგეშიძე

საშუალო სკოლების სამმართველოს
უფროსის მაგიერ ოგ.ლაძე

ბრძანება № 5683

სსსრ განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1939 წლ. 29 სექტემბერს.

1939/40 სასწავლო წლისათვის მზადებისა და 1 სექტემბერს სწავლების დაწყების შედეგების შესახებ

საქ. რესპუბლიკის რაიონებში ახალი სასწავლო წლისთვის სკოლების მზადყოფნისა და სექტემბრის 1 დღის სწავლების ჩატარების მდგომარეობის შემოწმებამ ცხადყო, რომ გასულ წელთან შედარებით სკოლების დიდი უმრავლესობა სასწავლო წელს მომზადებული შეხვდა და 1 სექტემბერს მეცადინეობა ნორმალურად დაიწყო.

საქ. კ. ს. (ბ) ცეკასა და სახკომსაბჭოს უშუალო ხელმძღვანელობისა და ყოველდღიური დახმარების შედეგად მიმდინარე წელს თავის დროზე გაიშალა ახალი სასწავლო წლისათვის მზადება.

განმტკიცდა და გაიზარდა სკოლების მატერიალური ბაზა. მიმდინარე წელს აშენდა 47 ახალი სასკოლო შენობა 8,885 მოწაფისათვის. კაპიტალური რემონტი გაუკეთდა 2,903 სასკოლო შენობას, რაზედაც დაიხარჯა 15.000.000 მან. უზრუნველყოფილი იქნა სკოლების დიდი უმრავლესობა სასკოლო ინვენტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რით: შეძენილ იქნა 18,732 ახალი მერხი 2,446 დაფა და სხვა. ახალ სასწავლო წლისათვის სკოლებს დაეზავნა 30,000 მან. სხვადასხვა სახის სასკოლო კაბინეტები და 1,324,000 მან. სას. ბიბლიოთეკა. მომარაგდა სკოლები რვეულებით, ქართული და რუსული ენის, არითმეტიკის ბუნებისმეტყველების და სხვათა პლაკატებით და ტაბულებით.

მიმდინარე წელს დაინიშნა უმაღლეს დამთავრებული 1997 ახალი მასწავლებელი და პედასასწავლებლის კურსდამთავრებული 1.485 მასწავლებელი. მასწავლებელთა საგაზაფხულო რესპუბლიკურ კურსებზე გადამზადდა 3,000-ზე მეტი მასწავლებელი.

გასულ წელთან შედარებით მასწავლებელთა აგვისტოს თათბირები უფრო ორგანიზებულად და მეტი აქტივობით ჩატარდა; კრიტიკისა და თვითკრიტიკის წესით თათბირებზე კამათში გამოსული მასწავლებლები მიუთითებდნენ გასული წლის განმავლობაში ცალკეულ სკოლების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე.

დეფექტების შემდგომში გამოსწორების უზრუნველსაყოფად თათბირებმა დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი.

მთელ რიგ რაიონებს — დუშეთის, ლანჩხუთის, მახარაძის, ბორჯომის, გორის და სხვა. ცალკეულმა სკოლებმა ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში მეტად სერიოზული მუშაობა ჩაატარეს და სავსებით მომზადებულნი შეხვდნენ 1 სექტემბერს. მათ პირველ სექტემბრისათვის წესრიგში ჰქონდათ მოყვანილი სასკოლო ინვენტარი, კაბინეტები, ბიბლიოთეკები, კლასები და დერეფნები დაცული იყო სისუფთავე, გააჩნდათ სწორად შედგენილი ვაკვეთილების ცხრილი, სკოლის შინაგანაწესი, სკოლის სასწავლო-საამქროდ ერთ გეგმა, სასწავლო დისციპლინებში სამუშაო გეგმები, გაკვეთილების გეგმები და სხვა, რის შედეგად ამ სკოლებში არცერთი წუთი არ გაცდენილა და ყველა გაკვეთილი ნორმალურად ჩატარდა.

აღნიშნულ მიღწევებთან ერთად, მთელ რიგ რაიონებს ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში სერიოზული დეფექტები ქონდათ. ზოგი რაიონის განათლების განყოფილებამ და სკოლის დირექტორებმა (ვამბა-ებმა) სათანადოთ ვერ შეაფასეს ახალ სასწავლო წლისათვის მზადების ამოცანების უდიდესი მნიშვნელობა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ საფეხურზე აყვანის საქმეში, გამოიჩინეს გულგრილობა და უდარდელობა. რის შედეგად მთელი რიგი რაიონების ზოგი სკოლები (აღბულახის, ჩხარის, საჩხერის, ბორჯომის, ქარელის, ცაგერის და სხვ.) მოუმზადებელი შეხვდა ახალ სასწავლო წელს, მათ ვერ უზრუნველყვეს აგვისტოს თათბირებზე მასწავლებელთა 100%-ით დასწრება, ვერ ჩაატარეს საკმაო მუშაობა თათბირების ნაყოფიერი მუშაობისათვის სათანადო პირობების შესაქმნელად. აღბულაღის რაიონში თათბირის მასწავლებელთა 50% არ დასწრებია. გორის რაიონში 695 მასწავლებლიდან თათბირზე 195 მასწავლებელი არ გამოცხადებულა, ცაგერში 340 მასწავლებლიდან არ გამოცხადდა 130 მასწავლებელი, ცაგერის რაიონში 405 მასწავლებლიდან გამოცხადდა 257. — თათბირზე მასწავლებელთა არასაკმაო რაოდენობით გამოცხადებას ადგილი ქონდა აგრეთვე სიღნაღის, წალენჯიხის, წალკის, ახალციხის და სხვ. რაიონებში, ცაგერის, ქვემო სვანეთის, წალკის, ონის რაიონებში 27 აგვისტოსათვის არ იყო გამოყოფილი სექციების ხელმძღვანელები და მომხსენებელი. ქ. სოხუმში მომხსენებელი „სკოლაში გეგმიანობისა და მეთოდური მუშაობის ორგანიზაციის საკითხებზე", მხოლოდ მოხსენების დღეს იქნა გამოყოფილი, რის გამიც სექციების მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ჩატარდა, ცაგერის რაიონში სრულიად არ უმუშავნია სიმღერის, ფიზკულტურის, ხაზგა-ხატვის სექციის, გაგრის რაიონში არ უმუშავნია სომხური ენის სექციას. წალკაში ცუდად მუშაობდა აზერბაიჯანულ და სომხური სკოლების და ისტორიის სექციის ხელმძღვანელები, ისინი სრულიად მოუმზადებელნი მოვიდნენ სექციის სხდომებზე.

ქარელის რაიონის უმრავლეს სკოლებს არ გააჩნია საჭირო რაოდენობით მერხები, დაფები, სკამები და მაგიდები. იმავე რაიონის „ღველთის დაწყებითი სკოლის ეზოში

1 სექტემბერს საქონლის ბაკი იყო მოთავსებული, სასკოლო ოთახში კი ყველის დამამზადებელი პუნქტი. იმის გამო, რომ სოფ. საბჭომ ქირა არ მისცა ღვედფის დაწყ. სკოლის შენობის პატრონს 1/9-ს სახლის პატრონმა მოსწავლეები ოთახში არ შეუშვა, რის გამოც მეცადინეობა ჩაიშალა. 1/9-ს სათანადოთ არ იყო მზად სარჩილის 1 და მე-2 საშ. სკოლები. ჩხარის რაიონის ძევრის არასრული საშუალო სკოლა არ შეუკეთებიათ და მეცადინეობა არა ნორმალურად დაიწყო. ამავე რაიონის სიმორეთის საშუალო სკოლის ყოფილმა დირექტორმა სკოლა ახალ დირექტორს არ გადაუბარა და მეცადინეობა 1/9-ს შეფერხდა.

ბორჯომის რაიონის, მოლითის სასკოლო შენობა გადაუხურავი იყო და ოთახებში წვიმდა. გეგეჭკორის რაიონში დიდიჭყონის საშუალო სკოლა სრულიად მოუმზადებელი იყო 1 სექტემბრისათვის.

ახალ სასწავლო წელს მოუმზადებელი შეხვდნენ აგრეთვე გურჯაანის, სიღნაღის, ხობის, ადიგენის, ქუთაისის, ახალციხის და სხვ. რაიონების ზოგი სკოლები.

მთელ რიგ რაიონებში არ გამოცხადებულა ახლად დანიშნულ მასწავლებელთა საკმაო ნაწილი, რამაც შეაფერხა სკოლებში ნორმალური მეცადინეობის დაწყება. მაგ: ადიგენში არ გამოცხადდა ახლად დანიშნული 20 მასწავლებელი. აღბულახში 26 მასწავლებელი, გორში 10 მასწავლებელი, დუშეთში 9 მასწავლებელი და ა. შ. რის შედეგად მთელ რიგ სკოლებში 1/9-ს მეცადინეობა ზოგ საგანში ჩაიშალა.

მაგ. პატარა თონეთის დ/სკოლაში არცერთი მასწავლებელი არ გამოცხადებულა და მეცადინეობაც არ ჩატარებულა. კასპის რაიონის, ს. ზოვლეების საშუალო სკოლაში 3 გაკვეთილი არ ჩატარებულა, ყვარელის მოზრდილთა საშუალო სკოლაში არ ჩატარებულა არცერთი გაკვეთილი.

მთელ რიგ სკოლებში (გორის რაიონის, კარაელეთის და ტირძნისის არასრ. საშ. სკოლა, ხარაგაულის რაიონის, ვანძიის, ქ. თბილისის 83 — 73, 84, 88 და სხვ) 1 სექტემბრისათვის დირექტორებს, სასწავლო ნაწილის გამგეებს, მასწავლებლებს არ აღმოუჩენიათ სასწავლო საადგილმამყოფელო გეგმები, ინდივიდუალურ დისციპლინების სამუშაო გეგმები, გაკვეთილის გეგმები, ამ სკოლებში არ იყო გაკვეთილების ცხრილი და დირექტორები კმაყოფილდებოდნენ ერთი ან ორი დღისათვის შედგენილ გაკვეთილების ცხრილით.

საქ. სახელმწიფო გამომცემლობამ ვერ უზრუნველჰყო პროგრამების, სახელმძღვანელოების, საკლასო ჟურნალების და სასკოლო დოკუმენტების ადგილებზე დროულად დაგზავნა, რის გამოც ზოგი სკოლა (სოფლად და ქალაქადაც) 1 სექტემბრისათვის ასეთების გარეშე დარჩა.

საქ. სახელგამმა და ბიბლიოკოლექტორმა მთელ რიგ რაიონების მიმართ (ქვემო-სვანეთი, ადიგენი, ყვარელი, ცაგერი და სხვ.) ვერ გაანაღდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებანი და აღნიშნულ რაიონთა სკოლები 1 სექტემბრისათვის მოუმარაგებელი აღმოჩნდნენ სასკოლო კაბინეტებით, ბიბლიოთეკებით, და სხვადასხვა ხელსაწყო იარაღებით.

ზემო აღნიშნულის გამო ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოებმა სამი დღის ვადაში შეისწავლონ სახელგამისა და ცეკავშირის მიერ რაიონებში სასწავლო პროგრამების და სახელმძღვანელობის და სასკოლო დოკუმენტების დაგზავნის მდგომარეობა, დაწვრილებით შეისწავლონ დაგვიანებით დაგზავნის მიზეზები და ამ საქმეში კონკრეტული დამნაშავენი და შედეგების შესახებ მომახსენონ მე. მიღებულ იქნას სასწრაფოდ ზომები პროგრამებით, სახელმძღვანელოებით და სასკოლო დოკუმენტებით სკოლების უზრუნველსაყოფად.

2. სპეციალურად იქნას შესწავლილი მიმდინარე წლის 25 სექტემბრამდე აფხაზეთის ა. ს. ს. რ. ქუთაისის, თიანეთის, გორის ქვემო-სვანეთის და ბოგდანოვკის რაიონებში ცეკავშირის ხაზით არსებულ სავაჭრო წერტილების მუშაობა და დაისახოს სათანადო ღონისძიებანი არსებულ დამახინჯებათა საბოლოოდ აღსაკვეთად.

3. სახელგამის სავაჭრო განყოფილებამ და

ბიბლიოტეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბკოლექტორმა უზრუნველყოფ ერთი დეკადის ვადაში გურჯაანის, ხაშურის, ყვარელის, ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, აღბულახის, ლუქსემბურგის, სამტრედიის და ხობის განათლების განყოფილებებთან და ფინანგებთან დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სასკოლო კაბინეტების და ბიბლიოთეკების რაიონებზე დაგზავნა და შესრულების შედეგებზე მომახსენონ მე.

4. წინადადება მიეცეს სახელგამს დაანწესოს სისტემატური მეთვალყურეობა, რათა რაიონებს დროულად ეგზავნებოდეს რვეულები შესაფერად შერჩეულ ასორტიმენტის მიხედვით.

5. მეოთხე კვარტალში რვეულებით სკოლების სათანადოდ მომარაგების მიზნით დაისვას საკითხი მბეჭდავთა კავშირის ცეკას წინაშე, რათა ქარხნებში შემოღებულ იქნას ორ ცვლაზე მუშაობა.

6. სახელგამმა და ცეკავშირმა გააუქჯობესოს წიგნებისა და სასწავლო ნივთების შეფუთვის ხარისხი, მისცენ შესაფერი დირექტივა ადგილებს, რომ წიგნებისა და სხვა სასწავლო ნივთების შეფუთვანი წარმოებდეს სათანადო წესების დაცვით და მომავალში ადგილი არ დაუჩრეს დაუდევრად შეფუთვის გამო რვეულებისა და წიგნების გაფუჭებას. დაისვას საკითხი ცეკავშირის წინაშე ადგილობრივ ლონისძიებათა გატარების შესახებ.

7. საშუალო სკოლის კვლევითი ინსტიტუტის დირექციამ მიიღოს საჭირო ზომები სასწავლო დისციპლინების სწავლების დაყენებისათვის გეგმით გათვალისწინებულ მეთოდური ლიტერატურის გამოსაცემად და დროულად დაიყვანოს ისინი რაიონებამდე.

8. ვავალებ განათლების განყოფილებათა გამგეებს 25 სექტემბრამდე დაახუსტონ რაიონის პედაგოგიური კაბინეტების შტატი. კაბინეტში მომუშავეებად შეარჩიონ რაიონის მოწინავე და წარჩინებული მეთოდისტ-მასწავლებლები და უზრუნველჰყონ პედკაბინეტების მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება.

9. მიიღონ გადამჭრელი ზომები 25 სექტემბრამდე შეიქმნას ყველა სკოლაში ბეჭდმიანი მუშაობა, სწორად შედგეს გაკვეთილების ცხრილი, მოგვარდეს მასწავლებელთა შორის საათების სწორად განაწილება.

10. განათლების განყოფილებებმა დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი რათა ადგილი არ ექნეს მოსწავლეთა სკოლებიდან გაძთესვას, არ იქნეს დატოვებული სკოლის გარეთ არცერთი სკოლის ასაკის ბავშვი. წინადადებას ვაძლევ, ბოგდანოვკის, ადიგენის, თიანეთის, დუშეთის, ქვემო-სვანეთის, წალენჯიხის, ბორჩალოს, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის რაიგანათლების განყოფილებათა გამგეებს ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოების მონაწილეობით დასახონ ყველა გადამჭრელი ღონისძიებანი სკოლის გარეშე დარჩენილ და განთესილ ბავშვების სკოლებში 100 პროც. ჩასაბმელად.

11. ქარელის, საჩხერის, ბორჯომის, ხობის, ონის, ადიგენის, ასპინძის განათლების განყოფილებათა გამგეებმა, დასვან საკითხი ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოების წინაშე ურემონტოდ დარჩენილი სკოლებისათვის საჭირო თანხისა და ხაშენი მასალის გამოსაყოფად და ერთი დეკადის ვადაში უზრუნველყონ ამ სკოლების შეკეთება.

12. განათლების განყოფილებათა გამგეებმა 5 ოქტომბრამდე შეამოწმონ და მიიღონ გადამჭრელი ზომები სკოლების სათბობი მასალით (შეშა და ნახშირი) მოსამარაგებლად.

13. ,განსახკომის კადრების სამმართველომ 5 დღის ვადაში დაახუსტოს რესპუბლიკის ცალკეულ რაიონების სკოლების მიხედვით იმ მასწავლებელთა სია, რომლებიც არ გამოცხადდენ სკოლებში და მათ წინააღმდეგ მიიღოს გადამჭრელი ზომები ამავე დროის განმავლობაში უზრუნველყოფილ იქნას თავისუფალ ადგილებზე მასწავლებელთა დანიშვნა.

სსსრ განათლების სახ. კომისარი

ზ. კ ი ბ ნ ა ძ ე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
სრ. საკ. სას.-სამ. გამოფენის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის — გამოფენის დირექტორის ამხ. ნ. ვ. ციცინისა და რსფსრ განათ. სახ. კომისრის პ. ა. ტიურკინის მიერ 1939 წ.

ინსტრუქცია

პიონერიების და მოსწავლეების სრ. საკ. სას.-სამ. გამოფენის მონაწილეთა დამტკიცების წესისა და გამოფენაზე მონაწილეობის პირობების შესახებ.

საკ. სსრ ყველა განათლების განყოფილების გამგეს და სკოლის დირექტორს (გამგეს)

წინადადება გეძლევათ თანდართული ინსტრუქციის საფუძველზე ფართოდ გაშალოთ ახსნა-განმარტებითი მუშაობა ნორმ-ნატურალისტთა შორის, საკავშირო სას. სამ. გამოფენაში მათი მონაწილეობის მიღების მიზნით და მოგვაწოდოთ ყოველგვარი ცნობები თქვენს მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

განსახკომის მოადგილე ლ. გეგეშიძე
საუფალო სკ. სამმართველოს უფროსის მოადგილე უ. ოგოლაძე

ნაწილი პირველი

სრ. საკ. სას.-სამ გამოფენის მონაწილეთა შერჩევისა და დამტკიცების წესი

1. ვის შეუძლია შეიტანოს განცხადება

სრ. საკ. სას.-სამ. გამოფენაზე მონაწილეობის მიღების სურვილზე განცხადების შეტანა შეუძლია ყველა პიონერს და მოსწავლეს, ახალგაზრდა ნატურალისტებს და სოფლის მეურნეობის ტექნიკოსებს. აგრეთვე პიონერთა რაზმებსა და რგოლებს, ბავშვთა სასოფლო-სამეურნეო და ტექნიკური სადგურებს, პიონერთა სასახლეებს, კოლმეურნეობის ბავშვთა სახლებს, სბავშვო სახლებს, ბავშვთა კულტურისა და დასვენების პარკებს. სკოლებსა და წრეებს, რომელთა თემატიკა და მუშაობის მაჩვენებლები უპასუხებენ საკ. სას.-სამ. გამოფენის მთავარ კომიტეტის მიერ 1939 წ. დამტკიცებულ პირობებს.

შენიშვნა: საკ. სას.-სამ. გამოფენაზე მონაწილეობა შეუძლიათ სოფლის სოც. მეურნეობაში მიღებულ სხვა მიღწევების მიხედვითაც, რომლებიც შეიძლება გათვალისწინებული არ იყოს საგამოფენო კომიტეტის მიერ დაწესებულ მაჩვენებლებით.

საღ და როგორ უნდა მიეცეს განცხადებები

საკ. სას.-სამ. გამოფენაზე მონაწილეობის მიღების სურვილზე განცხადება შეიტანება, ისევე როგორც მოზრდილების მიერ, საოლქო (სამხარეო) სამიწათმოქმედო განყოფილების უფროსის ან რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახ. კომისრის სახელზე; ხოლო რომელთაც საოლქო დაყოფა არა აქვთ მათი რაიონული მიწგანების მეშვეობით განცხადებები შეიტანება წერილობით — დაწესებული ან თავისებური ფორმით, მაგრამ შემდეგი სავალდებულო ცნობების დართვით:

ა) გვარი, სახელი და მამის სახელი;

ბ) დაწერილებითი საფოსტო მისამართი;

გ) ცნობები გამოფენაზე წარსადგენ ექსპონატებზე;

დ) მიღწევები, რომლებიც ამ ექსპონატს ეხება.

განცხადების შეტანა შეიძლება სოფლის მეურნეობის როგორც ერთ, ისე რამოდენიმე დარგზე.

3. განცხადებათა აღრიცხვის, შემოწმებისა და განხილვის წესი

1. რაიმიწგანის განყოფილებებში შესული ყველა განცხადება პიონერთა და მოსწავლეთაგან რეგისტრაციაში ტარდება საერთოდ შემოღებული ფორმით.

2. შემოსულ „განცხადებათა შემოწმება წარმოებს საერთოდ შემოღებული წესით, მაგრამ კომკავშირისა და სახალხო განათლების განყოფილებათა წარმომადგენლის მონაწილეობით.

3. განცხადებების შემოწმებასთან ერთად მიწგანის სპეციალისტების მიერ დგება პასპორტები საგამოფენო კომიტეტის მიერ 1939 წ. პიონერებისა და მოსწავლეთათვის დამტკიცებული ფორმების მიხედვით.

4. ყველა განცხადება, შეტანილი რაიმიწგანის მეშვეობით, მათი შემოწმებისა და პასპორტის შედგენის შემდეგ, განხილული უნდა იქნეს რაიაღმასკომის პიონიერიუმზე კომკავშირისა და სახალხო განათლების წარმომადგენელთა თანადასწრებით და აგრეთვე წრის ხელმძღვანელისა და სკოლის დირექტორის მონაწილეობით (სადაც განცხადების შემტანი სწავლობდა).

5. რაიმიწგანები ყოველდღეადღურად აგზავნიან ყველა მასალას თავიანი დასკვნებით გამოფენის კანდიდატებზე მიწათმოქმედების საოლქო (სამხარეო) განყოფილების უფროსის ან რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახ. კომისრის სახელზე (რომელთაც საოლქო დაყოფა არა აქვთ).

6. განცხადებათა და პირველადი დოკუმენტების შემოსვლის შესახებ რაიმიწგანები ყოველ დეკადურად უდგენენ ანგარიშებს მიწსახკომს (მხარე, ოლქი, სამიწ. განყ.), ხოლო ეს უკანასკნელნი — სას.-სამ. გამოფენის კომიტეტს.

7. საბავშვო მასალების შემრჩევი ცენტრალური კომისია განიხილავს მის მიერ მიღებულ მასალებს და წარუდგენს სას.სამ. საგამოფენო კომიტეტს დასამტკიცებლად თავის დასკვნას გამოფენის მონაწილეობის თითოეულ კანდიდატზე, იმ პავილიონის [illegible]ბით, რომელშიაც სასურველია მოცემული ექსპონატის ჩვენება.

8. ყველა, საკ. სას.-სამ. საგ. კომიტეტის მიერ გამოფენის მონაწილეთ დამტკიცებული ან არდამტკიცებული, კანდიდატი სას.-სამ. საგ. კომიტეტისაგან მიიღებს სათანადო ცნობას.

ნაწილი მეორე

თემატიკა და ნამუშევართა მაჩვენებლები, რომლებიც წარდგენილი უნდა იქნეს საკ. სას.-სამ. გამოფენაზე კარი „ა“ მეცადინეობა

1. სასუქების გამოყენება. პიონერები და მოსწავლეები, რომლებმაც ორგანული, მინერალური და სხვა სასუქების გამოყენებას შედეგად მიაღწიეს განსაზღვრულ საცდელ მიწის ნაკვეთზე მოსავლის გადიდებას არა ნაკლებ 30%-სა, შედარებით საკონტროლო ნაკვეთთან. ამასთანავე — მოსავალი საცდელ ნაკვეთიდან არ უნდა იყოს ნაკლები იმ მაჩვენებლებისა, რაც საგამოფენო კომიტეტის მიერ დამტკიცებულია კოლმეურნეობასთვის ასეთსავე მიწის ნაკვეთზე მოცემულ ზონაში:

ა) რომლებმაც დაკვირვებისა და გამოკვლევის საშუალებით დაადასტურეს თუ სასუქ[illegible] რომელი საკვები ნივთიერების შეტანაა აუცილებელი ამათუიმ ნაკვეთზე მაღალი მოსავლის მისაღებად;

ბ) რომლებმაც გაარკვიეს სხვადასხვა სასუქ ნივთიერებათა გავლენა მცენარეების (ილნარ ნიადაგისა და წყლიერი კულტურების) ზრდა-განვითარებაზე, დაკვირვების სათანადო ფიქსაციით და გაფორმებით — დღიურების, დიაგრამების, ფოტო-სურათებისა და ჰერბარიუმების საშუალებით.

2. მცენარეთა ზრდისა და განვითარების რეგულირება — რომლებმაც ჩაატარეს მუშაობა მცენარეთა ზრდისა და განვითარების რეგულირებაზე (კარტოფილის საზაფხულო რგვა, სტაფილოსა და სხვა ბოსტნეული კულტურების საშემოდგომო თესვა, გაადრე-

ულება კულტურების, მცენარეთა შეფუთვა, შეწამვლა, ნამრეველის შეცლა, მიწის შემოყრა და სხვ) და მიიღო მოსავალი საცდელ მიწის ნაკვეთზე მეტი არანაკლებ 20%-ა-სა შედარებით საკონტროლო ნაკვეთთან. ამასთანავე, მოსავალი საცდელ მიწის ნაკვეთიდან არ უნდა იყოს ნაკლები მაჩვენებლებისა. რომლებიც შემოღებულია სასს.-სამ. გამოფენის მონაწილე კოლმეურნეთათვის მოცემულ ზონაში.

3. თესლის განახლება — რომლებიც მუშაობენ თვით-მტვერიან მცენარეების თესლის განახლებაზე (ხორბალი, ბარდა და სხვ.) ჯიშის ფარგლებში შეჯვარებით და რომელთაც ასეთი ცდების შედეგად მიიღეს განახლებული თესლი დადებითი მაჩვენებლებით.

4. მცენარეთა ახალი კულტურებისა და ძვირფასი ჯიშების დაჩქარებული გამრავლება — რომელთაც მცენარის ერთი თესლიდან, ბოლქვიდან და სხვ. მიიღეს რაოდენობა თესლის, ნერგის, ფესვგადგმული ლერწის, ბოლქვის და სხვ. არანაკლები ან თანაბარი რაოდენობის, რომელიც მიღებულია მოცემულ რაიონის თუ ოლქის ქოხ-ლაბორატორიებში, საცდელ სადგურებში, კოლმეურნეობაში და სხვ.

5. მოვლა-მოყვანა და გამრავლება სანერგე მასალის, ხილ-კენკროვანთა, ციტრუსოვანთა, საყვავილე-სადეკორაციო და მერქნიანი კულტურების — რომელთაც სანერგეში, ორანჟერიებში და სხვ. არანაკლებ ორი წლის მანძილზე მუშაობის შედეგად მიიღეს მაღალ-ხარისხოვანი სანერგე მასალა. ნათესარი სამირე, სანამყენე, ერთ-წლოვანები, ორ-წლოვანები, ერთწლოვანი და მრავალწლოვანი ყვავილები და რომელთაც ასეთები გაავრცელეს კოლმეურნეობებში, სკოლებში, საბავშვო სადგურებში და სხვ.

6. მცენარეთა ბუნების გადაკეთება მუნოგბისა და აღზრდითი მეთოდით:

ა) ტრანსპლანტაციის წესით—რომელთაც, მცენარეზე (ნესვი, საზამთრო, კიტრი გოგრაზე და სხვ.) ჩაატარეს მყნობა არანაკლებ 101-სა, რომელთაგან არანაკლებ 60%-მა გაიხარა და მოგვცა მოსავალი;

ბ) რომელთაც მუშაობის შედეგად შესძლეს საეგეტაციო პერიოდის არანაკლებ 5 დღით შემოკლება ან გაგრძელებაც — ანუ დროულად კანაფის შემოსვლა სას.-სამ. მეცნ. დოქტორის გრიშკოს მეთოდით, ან რომელთაც შესლეს მიღება ზამთარგამძლე, გვალვა-გამძლე, მლაშე ნიადაგგამძლე მცენარეების: კარტოფილი, პამიდორი, მარცვლეული და სხვა.

7. ჯიშთშესწავლა და ჯიშთგამოცდა — რომელთაც მუშაობის (არანაკლებ ვიდრე 2 წლისა) შედეგად შემოიღეს ჯიში, რომელიც სამეურნეო თვალსაზრისით ზედმეტად ძვირფასია მოცემული რაიონისათვის.

8. გამოყვანა ახალი — სამეურნეო თვალსაზრისით ძვირფასი ჯიშებისა და ფორმის:

ა) მასობრივი და ინდივიდუალური შერჩევით — რომელმაც მიიღეს მცენარეები, რომელთა ნიშანთვისება (მაღალმოსავლიანობა, ზამთარგამძლეობა, მრავალთავთავიანობა, ადრეულობა და სხვ.) გამოდგენ გამძლე და შემოწმებული იქნენ მოცემული კულტურის არანაკლებ ორი თანმიმდევარი მოსავლის დროს;

ბ) ხელოვნური შეჯვარებით — რომელთაც მიიღეს ჰიბრიდული მცენარეები, რომელთაც სამეურნეო თვალსაზრისით ძვირფასი, მშობლების ნიშანთვისების შენაერთი აქვთ (ხორბალ-ჭანგას და ჭვავ-ხორბლის ჰიბრიდები, პამიდორის ჰიბრიდები და სხვა).

9. შესწავლა მხარის ფლორის, სარეველათი და მცენარეულობის დაავადების — რომელთაც შეისწავლეს ადგილობრივი მხარის ფლორა, სარეველა მცენარეები და უმეტესად გავრცელებული მცენარეთა ავადმყოფობანი და რომელთაც შეგროვილი მასალა გამოიყენეს პრაქტიკული მუშაობისათვის სკოლებში, საბავშვო სადგურებში, ქოხ-ლაბორატორიებში, კოლმეურნეობებში და სხვ.

10. სასოფლო-სამეურნეო მცენარეულობის გავრცელება ახალ რაიონებში — რომელთაც მცენარეთა აკლიმატიზაციაზე ჩაატარეს მუშაობა არა ნაკლებ ორი წლისა და მიაღწიეს ამ მცენარეთა ისეთ მოსავლიანობას, რომელიც უზრუნველყოფს საცდელი კულტურის სამეურნეო მოვლა-გაშენებას მოცემულ რაიონში.

11. გამოვლენება სამეურნეო ღირებულების მქონე გარეული მცენარეებისა — რომელთაც ფლორის შესწავლის შედეგად აღმოაჩინეს მოცემული ადგილისთვის ახალი, სამეურნეო ღირებულების მქონე, მკენარე, რომელზედაც სწარმოებს მის მიერ ცდები ანდა მახლობელ კოლმეურნეობებსა და სახელოთა მეურნეობებს და სხვ. შემოაქვთ კულტურაში.

12. ჩატარება სისტემატურ ფენოლოგიური დაკვირვებების — რომელთაც ჩაატარეს ფენოლოგიური დაკვირვებები არა ნაკლებ ერთი წლის პერიოდისა რაიონის 4 წამყვან კულტურაზე და დაკვირვების მასალები გამოიყენეს წრეებში, ჭოხ-ლაბორატორიებში და სხვ. მუშაობის დროს.

13. ცდების დაყენება საბოსტნე და ნაგვიანევ საგაზაფხულო კულტურების თესვის ფენოლოგიურ ვადებზე — რომელთაც ცდების დაყენების გზით გამოავლინეს, არა ნაკლებ სამი წლის პერიოდისა, კულტურათა თესვის უკეთესი ვადები (სტაფილო, კიტრი, კარტოფილი, წიწაპარა, ფეტვი და სხვ.).

14. მაღალი მოსავლიანობის მიღება — რომელთაც სწორი აგროტექნიკური ხერხების გამოყენების შედეგად მიიღეს მოსავალი (ჰექტარზე გადაანგარიშებით) არა ნაკლები მაჩვენებლებისა კოლმეურნეობათათვის (რომელიც დამტკიცებულია საკ. სახ.-სამ. საგ. მთავარი კომიტეტის მიერ 1939 წ. ინსტრუქციით).

15. საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობა მოსავლის აღებისა და დაცვის საქმეში — რომელთაც საკოლმეურნეო მინდვრებზე, ბაღებსა და სანერგეებში ჩაატარეს მოსავლის დაცვითი მუშაობა, აგრეთვე, მოსავლის დაცვა დატაცებისაგან, პირუტყვთა მიერ მოძოვისაგან, რომელთაც აწარმოეს ბრძოლა ნათესებისა და ნარგავების დაავადებასთან, რომელთაც არდადეგების დროს იმუშავეს მოსავლის აღებაზე და რომელთაც სამეურნეო ან სამეცნიერო ორგანიზაციებისაგან მიიღეს მათი მუშაობის მაღალი შეფასება.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მიწის ნაკვეთის უმცირეს ზომად, რომლიდანაც იანგარიშება მოსავალი, წესდება შემდეგი:

ა) მაღალი მოსავლის მისაღებად მიწის ნაკვეთი ზომით 10 კვ. მტრ.

ბ) ცდების დასაყენებლად საჭირო მიწის ნაკვეთები უნდა იყოს არა ნაკლებ 5 კვ. მეტრისა თითოეული.

გ) განსაკუთრებული ღირებულების მქონე და საინტერესო კულტურების ცდებისთვის შეიძლება დაშვებულ იქნეს 5 კვ. მეტრზე ნაკლები მიწის ნაკვეთიც.

დ) დაწყებითი სკოლის მოსწავლეთათვის — 3 კვ. მეტრი, ხოლო უმეტესად საინტერესო ცდებისა და ჯიშის კულტურებისათვის დასაშვებია აღრიცხვა ერთეული მცენარიდანაც.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: პიონერებისა და მოსწავლეების მუშაობა მოსავლის აღებისა და დაცვის საქმეში სასტიკად უნდა იქნეს რეგულირებული სამუშაო დროის საათების არსებული ნორმების მიხედვით და ტარდებოდეს პედაგოგების მეთვალყურეობისა და კონტროლის ქვეშ.

მიღწევები და მაჩვენებლები მოსავლის აღების საქმეში კეთდება გადაანგარიშების წესით საათობრივი გამონაკრეფით.

გადაუჭარბება კანონით დაწესებული ბავშვთა სამუშაო საათებისა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს დაშვებული.

კარი „ბ“ მეცხოველეობა

პიონერები და მოსწავლეები, რომლებიც ატარებენ მუშაობას სოციალისტურ მეცხოველეობის პროდუქტიულობის ასამაღლებლად (სადღეღამისო წონის მატების ნორმები, კვერცხდება, ბუმბულის, მატყლის, რძის, თაფლის, პარკის და სხვ. გამოსავალი) უნდა იხელმძღვანელონ შესაბამისი მაჩვენებლებით კოლმეურნეობათათვის, რაც დაწესებულია 1939 წლის ინსტრუქციით.

გარდა ამისა, რომელთაც მიაღწიეს ერთერთ ქვემოთ დასახელებულ მაჩვენებელს.

1. ცხენზე შეფობით — ა) რომელთაც გამოზარდეს კარგად გამოკვებილი და კარგი მოყვანილობის ცხენი და მოამზადეს ის მუშ. გლეხთა წითელი არმიისათვის.

ბ) რომელთაც გამოზარდეს 6 თვის ასაკამ-

დე კარგად გამოკვებილი და მოყვანილობის ორი კვიცი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ცხენ-სასპორტო კლუბების წევრ ახალგაზრდა კავალერისტებს შეუძლიათ მ.ნაწილობა მიიღონ შეჯიბრებასა და დათვალიერებებში, რომელსაც ჩაატარებს საკ. სას.-სამ. გამოფენის კომიტეტი; ცხენ-სასპორტო შეჯიბრებაზე კავალერისტები სპეციალური უწყებით იქნებიან გამოწვეულნი.

2. ახალმოზარდზე შეფობით — შეფობის გამწევი მსგავლფება და წვრილფეხა საქონლის ახალმოზარდზე (ხბო, ბატკანი, გოჭი, ჩოჩორი და სხვ) და რომელთაც შედეგად არა ნაკლებ ექვსი თვის მუშობისა მიღწიეს:

ა) საშეფო ახალმოზარდის მთლიან შენარჩუნებას;

ბ) კარგი ნაშენისა და გამოკვების მიღებას;

გ) ერთი დედისაგან (ან დედებისაგან) ნაშენის 1 წლის ასაკამდე მთლიანად და კარგ მდგომარეობაში შენარჩუნებას.

3. მეფრინველეობით — რომელთაც შესძლეს ერთ-ერთ ქვემოთ დასახელებულ მაჩვენებლის მიღწევას:

ა) აღრიცხვის საშუალებით შეარჩიეს ერთი წლის განმავლობაში ორი საუკეთესო კვერცხმდები ქათამი და მათგან გამოზარდეს არა ნაკლებ 20 წიწილისა 4 თვის ასაკამდე:

ბ) რომელთაც გაადიდეს ქათმების კვერცხდების უნარი ექვს თვეში არა ნაკლებ 25%-ით მოცემული ჯიშის ქათმების საშუალო კვერცხდებასთან შედარებით;

გ) რომელთაც ინკუბაციის პირობებში მიიღეს გამოჩეკა არა ნაკლებ 80%-სა ინკუბატორში ჩალაგებულ კვერცხების რაოდენობიდან და შესძლეს 4 თვის ასაკამდე გამოზრდა არა ნაკლებ 98%-სა გამოჩეკილ წიწილებიდან.

4. მეკურდღლეობით — რომელთაც თავისი საცდელი მუშობის შედეგად მიიღეს:

ა) ერთი დედა კურდღლიდან წელიწადში მიიღეს არა ნაკლებ 5-ჯერ ბაჭიების დაყრა და გამოზარდეს 4 თვის ასაკამდე არა ნაკლებ ექვსისა თითოეულ ბუდიდან;

ბ) **კურდღლების ახალი ჯიშის გამოყვანა, შერჩევისა და შეჯვარების გზით** — რომელთაც მიიღეს კურდღლების ახალი ჯიში, რომელსაც აქვს მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლები (გამძლეობა ავადმყოფობის წინააღმდეგ, კარგი ტყავი, მაღალი ცოცხალი წონა, დიდი ნაყოფიერება და სხვ.);

გ) საუკეთესო დედაკურდღლების შერჩევისა და გამოვლინების დარგში — რომელთაც მეკურდღლეობის მეურნეობებში ერთი წლის განმავლობაში რეგულარულ დაკვირვებისა და აღრიცხვის გზით გამოყვეს არა ნაკლებ ორი დიდი ნაყოფიერებისა და მეძუძური დედა კურდღლისა;

დ) მოზრდილ და ახალმოზარდ კურდღლების კვებისა და მოვლის დარგში — რომელთაც, არა ნაკლებ ოთხი თვის პერიოდისა, მიიღეს პროდუქციის (თივთიკის, ხორცის, ცოცხალი წონის მატება) ამაღლება 20%-დე საკონტროლო ცხოველებთან შედარებით, იმ პირობით, რომ ეს შედეგები არ უნდა იყოს იმ ნორმებზე ნაკლები, რაც დაწესებულია საკ. სას.-სამ. გამოფენის მოზრდილ მონაწილეთათვის.

5. მეფუტკრეობით — **ა) ფუტკრის გაწვრთნით** — რომელთაც მიაღწიეს ფუტკრის შეჩვევა ახალ, მათთვის უცნობ, თაფლოვან მცენარეებს, რის შედეგად აქვთ მნიშვნელოვანი სამეურნეო ეფექტი (სამყურა ბალახის თესლის მოსავლიანობის ზრდა და სხვ.);

ბ) რომელთაც მიდამოს (საფუტკრიდან 3 კილომეტრის რადიუსით) დაკვირვებისა და გამოკვლევის გზით შეაგროვეს და გააფორმეს შემდეგი მასალები და ცნობები:

ა) რაგვარი ავადმყოფობა და ფუტკრის მავნებლებია გავრცელებული მოცემულ მიდამოში;

ბ) მთავარი თაფლოვანი მცენარეები;

გ) ქრონოლოგიური ნუსხა თაფლოვან მცენარეების ყვავილობისა;

დ) ნექტარის რაოდენობა, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს ფუტკრის სასარგებლო საფრენ ფართობზე;

ე) საფრენი დღეების საშუალო რაოდენობა სეზონის განმავლობაში, თვეების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. მეთევზეობითა და მებადურობით — ა) შესწავლა ადგილობრივ წყალსატევებში თევზის სხვადასხვა ჯიშისა თევზის პირადი ჭერით, მეთევზეთა გამოკითხვით და სხვ. და აქვთ თევზის ყველა სახეობა კონსერვირებული პრეპარატების სახით;

ბ) რომელთაც მიაღწიეს კარგ შედეგებს აკლიმატიზაციისა და ადგილობრივ წყალსატევებში სამეურნეო თვალსაზრისით ღირებულების მქონე თევზის ახალი ჯიშების ხელოვნური გამრავლებით;

გ) რომელთაც შემოიღეს თევზის ჭერის ახალი ხერხები ანდა გამოიგონეს ოვეზის საჭერი ახალი, უფრო ეფექტური ხელსაწყო ან იარაღები;

დ) პიონერებისა და მოსწავლეების საგუშაგოები ბუნებრივი და ხელოვნური წყალსატევების (ტბორები, აუზები) დასაცავად, რომლებშიაც მრავლდებიან თევზის ძვირფასი ჯიშები, — რომელთაც მონაწილეობა მიიღეს გაზაფხულის წყალდიდობის დროს წვრილი თევზის გადარჩენაში და აქვთ კარგი შეფასება მოკვმელ წყალსატევების გამგებელ ორგანიზაცია-დაწესებულებათაგან;

ე) რომელთაც დაამუშავეს თევზის მავნებლებთან ბრძოლის ახალი მეთოდები.

7. მონადირეობით და ნადირმოშენებით — ა) რომელთაც მიიღეს ნამრავლი და გამოზარდეს მთელი ნამრავლი არა ნაკლებ 1 წლის ასაკამდე, რომელთაც მოაშენაურეს მეურნეობის თვალსაზრისით ღირებულების მქონე გარეული ცხოველები (თრითონა, მოვერცხლისფრო-მოშავო მელა, ფსურიის ენოტი, სიასამური, კვერნა, ნუტრია, მდინარის წავი და სხვ.) რაოდენობით არა ნაკლებ ორი ცალისა;

ბ) რომელთაც სანადირო-სამრეწველო ფრინველის არა ნაკლებ 40 ცალისას შეაბეს რგოლი (ბეჭედი) და უკანვე მიიღეს არა ნაკლებ 5 რგოლისა იმის აღნიშვნით, თუ სად იქნა აღმოჩენილი რგოლშებმული ფრინველები;

გ) შორეულ აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის ახალგაზრდა მონადირენი, რომელთაც გარეულ ნადირსა და ფრინველზე ერთი წლის ნადირობის შედეგად მიიღეს პროდუქცია არა ნაკლებ 500 მან. ღირებულებისა.

8. მოსავლის დაცვითა და მოსავლის მავნებლებთან ბრძოლით — ა) რომელთაც სეზონნის განმავლობაში ჩაატარეს სისტემატური დაკვირვებანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ცალკე უბნებზე, ბაღებზე ან გარეულ მცენარეებზე და ამის შედეგად გამოავლინეს მავნებლების სხვადასხვა სახე, მათი განვითარების სტადიები, მათი გამოჩენის დრო და ზიანის მოტანის ხასიათი;

ბ) რომელთაც აითვისეს გამრავლების მეთოდები და ტექნიკა და გამოიყენეს ტრიხოგრამა ან მტაცებელნი, ანდა პარაზიტული მწერები სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელთა მოსასპობად არა ნაკლებ 0,5 ჰექტ. ფართობზე;

გ) რომელთაც კვლევის გზით გამოარკვიეს ნაკვეთის მღრღნელებით დაავადების ხარისხი არა ნაკლებ 0,5 ჰექტ. ფართობზე (თითოეულ ახალგაზრდა ნატურალისტისათვის), შეადგინეს მათთან ბრძოლის გეგმა და ამ გეგმის მიხედვით წარმატებით ჩაატარეს ბრძოლა მღრღნელების წინააღმდეგ, რის შედეგადაც ამ ნაკვეთის მოსავალი უფრო მაღალი აღმოჩნდა იმ ფართობთან შედარებით, რომელზედაც ასეთი ბრძოლა არ ჩატარებულა;

დ) რომელთაც მოსპეს მღრღნელები ცალკე ბეღლებში ან საწყობებში — გამოიყენეს რა ამ მიზნისათვის გაწვრთნილი კატა და ძაღლები, ხაფანგი, სარეკვგვი — რის შედეგადაც ჭირნახულის მარაგი დაცული იქნა მღრღნელების მიერ გაფუჭებისა და განადგურებისაგან.

9. მემტრედეობით — ა) რომელთაც თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრ. საბჭოს საბავშვო სექციის პროგრამის მიხედვით წლის განმავლობაში გამოზარდეს და გაწვრთნეს არა ნაკლებ 3 მტრედისა;

ბ) რომელთაც კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, სამ.-სტრაქტორო სადგურებთან, სკოლებთან და სხვა ადგილებში მოაწყვეს მტრედების მომქმედი საფოსტო სადგური, მტრედთა რიცხვით არა ნაკლებ 4-სა;

გ) რომელთაც გამოზარდეს და გაწვრთნეს არა ნაკლებ ორი საფოსტო მტრედისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოამზადეს ისინი მუშ. გლეხ. წითელი არმიის პრაქტიკული მომსახურეობისათვის.

10. მეძალლეობით — ა) რომელთაც თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრ. საბჭოს საბავშვო სექციის პროგრამის მიხედვით ერთი წლის განმავლობაში გამოზარდეს და გაწვრთნეს არა ნაკლებ 1 ან 2 ძაღლისა;

ბ) რომელთაც კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობისა და სამ.-სატრაქტორო სადგურების შიგნით ძაღლების მეშვეობით მოაწყვეს სამსახური: კავშირგაბმულობის, დაცვის და მომსახურეობის სხვა სახეები;

გ) რომელთაც აღზარდეს 1 ძაღლი და მოამზადეს მუშ. გლეხ. წითელი არმიის პრაქტიკული მომსახურეობისათვის.

11. მეაბრეშუმეობით — ა) პიონერები და მოსწავლეები, რომელთაც სსრ კავშირის შუა და ჩრდილოეთ ზონაში გამოავლინეს ახალი საკვები მცენარეები, რომლებიც შეცვლიან თუთის ხეს და უზრუნველყოფენ აბრეშუმის ჭიის არა ნაკლებ 5 თაობის გამოკვებას მყარი, საუკეთესო შედეგებით, გამოსავლიანობით, პარკის ხარისხით და უზრუნველყოფენ სსრ კავშირის შუა და ჩრდილოეთ ზონაში თუთის აბრეშუმის ჭიის გამრავლებას;

ბ) რომელთაც სკოლებსა, კოლმეურნეობებსა, ქოხ-ლაბორატორიებსა და სხვაგან გაავრცელეს მუხის აბრეშუმის ჭია რაოდენობით არა ნაკლებ 500 ცალისა;

გ) რომელთაც მუხის აბრეშუმის ჭიისათვის გამონახეს საკვების ახალი სახეები, რომლებიც უზრუნველყოფენ მკვიდრ და კარგ შედეგებს.

კარი „გ“ სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და ელექტროფიკაცია

საკ. სახ.-სამ. გამოფენის ექსპონატებად შეიძლება იყოს ახალგაზრდა ტექნიკოსები, რომლებმაც გააკეთეს მომქმედი მოდელები, მაკეტები სახ.-სამ. მანქანა-იარაღებისა.

1. ტრაქტორების.

2. ნიადაგის დასამუშავებელი მანქანების, სათესი და სარგავი მანქანების (გუთანი, ფარცხი, კულტივატორი, სათესი, კარტოფილსარგავი და სხვ.).

3. მოსავლის ასაღები და დამამუშავებელი მანქანების (კომბაინები, სამკალი, ძნისსაკონი, საშრობი და სხვ.).

4. სოფლის მეურნეობის საერთო მექანიზაციის მანქანების (წყლის წისქვილი, ზეთსახდელი, სარწყავი მოწყობილობანი, ქარის წყალსაჭიანი, ორთქლის წისქვილები, ფესვსაპრელები, საპირები, წყალსასმი მოწყობილობანი, აეროსამბელები, მტვერშემყრელები, შინასაკოლმეურნეო ტრანსპორტი და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სხვა სახეები).

5. სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის ხაზით — (საკოლმეურნეო ჰიდროელექტრო-სადგურები, ქარის ელექტროსადგურები, ელექტროსალეწები, ელექტროსასახარისხებელი, ელექტროინკუბატორი, ელექტრობრუდერები, ელექტროავტომატური მოწყობილობანი და სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის სხვა სახეები).

6. მოდელები, ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების პროექტები, ან მოდელები უკვე ცნობილი მანქანა-იარაღებისა, მაგრამ არსებითი კონსტრუქციული ცვლილებებით და დამატებით, რომელიც შეტანილი იქნება თვით ხალგაზრდა ტექნიკოსების მიერ.

7. მაკეტები მექანიზირებული და ელექტროფიცირებული კოლმეურნეობებისა, საკოლმეურნეო სადგომებისა, სხვადასხვა საკოლმეურნეო ნაგებობებისა მექანიზაციის ჩვენებით.

8. რომელთაც აქვთ რაციონალიზატორული წინადადებები სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ექსპლოატაციის დარგში.

9. ბიბლიოგრაფიანი და ცალკეული გაუმჯობესებანი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებისა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მომქმედი მოდელებისა და მაკეტების დამზადებისა, რომლებიც გამოფენაზე იგზავნებიან, მოსწავლეებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქცინონ ახალ კონსტრუქციათა არა მარტო ტექნიკურად და ხარისხობრივად დამაკმაყოფილებელ შესრულებას, არამედ ყურადღება უნდა მიაქცინონ აგრეთვე დეტალების მაღალ ხარისხს და მოდელებისა და მაკეტე-

ბის გარგენულად გამოყენების კულტურას.

გარდა იმ მოდელებისა, რომლებიც ნაჩვენებია ამ ინსტრუქციაში, შეიძლება წარმოდგენილი იქნეს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სხვა მოდელებიც.

მოდელებისა და მაკეტების ზომა

1. სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების მომქმედი მოდელები და მაკეტები, ძრავები, რომელნიც გამოიყენებიან სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სხვადასხვა დარგში, წარმოდგენილი უნდა იქნეს გამოფენაზე ზომით $\frac{1}{20}$ და 1/10 ნატურალური სიდიდისა.

2. მოდელების ორიგინალური კონსტრუქციები გამოფენაზე შეიძლება წარმოდგენილი იქნეს იმ ზომის, რომელსაც სასურველად მიიჩნევს ექსპონატი, მაგრამ არა უმეტეს ნატურალური სიდიდის ერთი მეხუთედისა.

3. მოდელები, ხელსაწყოები და დანადგარები რადიოტექნიკის, ელექტროავტომატიკის და ტელემექანიკის დარგებში შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ნატურალური სიდიდის.

4. მოდელები და მაკეტები მსხვილ სარწყავ მოწყობილობათა და სხვა ნაგებობისა შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ზომით ნატურალური სიდიდის ერთი მეათედიდან ერთ მეოცედამდე.

კარი „გ" სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და ელექტროფიკაცია

გამოფენაზე წარმოდგენილი უნდა იქნეს:

ა) მოდელები, მანქანები, მაკეტები და ხელსაწყოები ზომით, რომელიც ნაჩვენებია ინსტრუქციის მეორე ნაწილში, კარი „გ",

ბ) სქემები, ნახაზები, ფოტო და მათი აღწერილობანი;

გ) ალბომები, დღიურები, ჩანახატები, ცხრილები, დიაგრამები, დიაპოზიტივები, ლენტები. ახალგაზრდა ტექნიკოსების (წრეებისა და სხ.) ნაამბობის ჩანაწერებით თავისი მუშაობის შესახებ.

ბრძანება № 5910

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1939 წლის 10 ოქტომბერს.

სკოლებში კლასგარეშე კითხვის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

ქ. თბილისის: კიროვის, სტალინის, ორჯონიკიძის, 26 კომისრების რაიონნების, ქ. ბათომის, ბორჯომის, კასპის, მახარაძის და თბილისის რაიონების სკოლებში კლასგარეშე კითხვის მდგომარეობის შესწავლის შედეგად აღვნიშნავ, რომ ზოგიერთ სკოლაში (მე-14, 28, 3 და 43 საშუალო სკოლები, მახარაძის ა/სრ. საშ. სკოლა) დირექტორების, მასწავლებლების და ბიბლიოთეკის გამგეთა საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების შედეგად კარგად არის მოგვარებული კლასგარეშე კითხვის საქმე. თვალსაჩინოდაა გაზრდილი სასკოლო ბიბლიოთეკების დაფინანსება, და ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი (მე-3 საშ. სკოლის ბიბლიოთეკაში არის 5,766 წიგნი, მე-14 საშ. სკ. — 5,000 წიგნი, მე-28 სკ. — 6,300 ც. წიგნი მე-36 საშ. სკოლაში — 10,000 ც. წიგნი და ა. შ.), მოწესრიგებულია წიგნების გაცემა-დაბრუნების საქმე, აწარმოებენ წიგნების აღრიცხვას და დარგობრივ დალაგება დამუშავებას, ათწილადი კლასიფიკაციის მიხედვით, ორგანიზებულად ხდება წიგნების მოსწავლეებზე გაცემა და სწარმოებს წაკითხულის გარშემო საუბრები, მიღებულ შთაბეჭდილებათა ურთიერთგაზიარება, მასწავლებლები ხელმძღვანელობენ სასწავლო დისციპლინებთან დაკავშირებით წიგნების შერჩევას და გამოფე-

ნას, შემოღებულია საუკეთესო მკითხველი მოსწავლეების დაჯილდოება, დიდი ყურადღება ეთმობა ბიბლიოთეკების რუსულ წიგნებით შევსებისა და რუსულ ენაზე საბავშვო ლიტერატურის კითხვის საქმეს.

ამასთან ერთად მთელ რიგ სკოლებში ადგილი აქვს კლასგარეშე კითხვის საქმის შეუფასებლობას. ქ. თბილისის მე-4, მე-19, მე-31, მე-7, მე-107, მე-47 სკოლებსა, თბილისის პედსასწავლებელს, მახარაძის რაიონის — შემოქმედის, კასპის საშუალო სკოლაში და სხვ. შეუფასებელია ბიბლიოთეკები საჭირო ახალი ლიტერატურით, არ არის არსებული წიგნადი ფონდი აღრიცხული, დალაგებული და დარგობრივად წესრიგში მოყვანილი, მოუწესრიგებელია წიგნების გაცემა და დაბრუნების ორგანიზაცია, არ სწარმოებს გაცემული წიგნების რეგისტრირება, არის წიგნების დაკარგვის შემთხვევები. ზოგ სკოლაში ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობენ არაკვალიფიცირებული პირები, მაგ. ბორჯომის საშუალო სკოლის ბიბლიოთეკას განაგებდა საქმის მწარმოებელი, რომელსაც არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა საბიბლიოთეკო მუშაობაზე. ამ სკოლაში არ არის გამორკვეული რამდენი წიგნია ბიბლიოთეკაში და რა ხასიათის, რამდენი წიგნია გაცემული მოსწავლეებზე. ასევე მახარაძის რაიონის—შემოქმედის საშ. სკოლაში ბიბლიოთეკის გამგედ მუშაობს სკოლის ტექნიკური მუშაკი, რომელმაც არ იცის თუ რა წიგნებია ბიბლიოთეკაში. ასეთივე მდგომარეობაა კასპის რაიონის და თბილისის ზოგიერთ სკოლებში.

წიგნების გაცემის საქმის მოუწესრიგებლობის შედეგად ადგილი აქვს წიგნების განაივებას (მე-32 საშუალო სკოლა, მე-19 საშ. სკოლა თბილისის პედსასწავლებელი).

არის შემთხვევები, რომ განათლების განყოფილებებისა და დირექტორების უმოქმედობის შედეგად სკოლას საბავშვო ლიტერატურის წიგნების ძალზე მცირე ფონდი გააჩნია. კასპის რაიონის, რგვალიჟალის დაწყებითი სკოლაში არც ერთი საბავშვო წიგნი არ იყო, ძალზე მცირე რაოდენობით გააჩნია საბავშვო წიგნები ქ. თბილისის მე-31 და 46 საშუალო სკოლას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგვნიშნავ აგრეთვე, რომ ზოგ სკოლაში დანაშაულებრივად მოუვლელია წიგნები. ასე მაგალითად, კასპის საშუალო სკოლაში წიგნები ყდებშემოხეული ყრია კარადაში, მოსწავლეები წიგნებით ვერ სარგებლობენ, ასეთივე მდგომარეობაა იმავე რაიონის იგოთის არასრულ საშუალო სკოლაში, მახარაძის რაიონის წითელი მთის დაწყებითი სკოლაში, ავჭალის საშუალო სკოლაში და სხვ.

ზევით ჩამოთვლილი სკოლების არცერთ ბიბლიოთეკაში არ არის შემუშავებული კლასგარეშე საკითხავი წიგნების სია ცალკე სასწავლო დისციპლინების მიხედვით და არ სწარმოებს მითითება იმაზე, თუ რა წიგნები უნდა იკითხონ მოსწავლეებმა, ამის გამო მოსწავლეების მიერ წიგნების კითხვა შემთხვევით ხასიათს ატარებს.

აღვნიშნავ რა კლასგარეშე კითხვის უდიდეს მნიშვნელობას სასწავლო საამღზრდელო მუშაობის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების, მოსწავლეთა საერთო მომზადების დონის, კულტურის ამაღლებისა და შეგნებული დისციპლინის განმტკიცების საქმეში, ვბრძანებ, გატარებულ იქნეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. საქ. განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოებს ვავალებ:

ა) სკოლების გამოკვლევის დროს სისტემატურად შეისწავლონ კლასგარეშე კითხვის მდგომარეობა, ადგილებზე მისცენ სკოლებს კონკრეტული მითითებანი არსებულ ნაკლოვანების აღმოფხვრისა და მუშაობის გარდაქმნის შესახებ. ამასთან ერთად საუკეთესო სკოლების გამოცდილების განზოგადოების მიზნით, გამოკვლევის შედეგები ეგზავნებოდეს რესპუბლიკის ყველა სკოლას.

ბ) ა/წ 20 დეკემბრამდე უზრუნველყონ სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობის შესახებ სპეციალური წიგნის გამოცემა.

გ) მასწავლებელთათვის პრაქტიკული დახმარების მიზნით ერთი თვის განმავლობაში იქნეს დამუშავებული და ა. წ. 20 ნოემბრამდე გამოიცეს შემდეგი მეთოდ-წერილები —

ა) კლასგარეშე კითხვა დაწყებითი სკოლის—

1, მე-2, მე-3, და მე-4 კლასებში, ბ) კლასგარეშე კითხვა ა/სრ. საშუალო სკოლის მე-5, მე-6, მე-7 კლასებში და გ) კლასგარეშე კითხვა საშუალო სკოლის მე-8, 9, 10 კლასებში.

დ) დაწყებითი და საშუალო სკოლის საკვლევო-სამეცნიერო ინსტიტუტთან ერთად ა/წ 10 ოქტომბრამდე დაზუსტდეს კლას-გარეშე საკითხავი წიგნების სარეკომენდაციო სია. სარეკომენდაციო სია გამოცემული იქნეს ინსტიტუტის მიერ არაუგვიანეს 1939 წლის 15 ნოემბრისა.

2. ვავლენ სკოლის დირექორებს (გამგეებს)

ა) ა/წ 1 ნოემბრამდე უზრუნველყონ სასკოლო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის მოწესრიგება, გამოუყონ ბიბლიოთეკას შესაფერი ოთახები, იქ სადაც ამის საშუალება არ არის, ბიბლიოთეკას მიეჩინოს სათანადო კუთხე, რომელიმე სასწავლო ოთახში.

ბ) ამ ბრძანების მიღებიდან ერთი ექვსდღიურის განმავლობაში დაწერილებით შეისწავლონ კლასგარეშე კითხვის მდგომარეობა მისდამი რწმუნებულ სკოლაში. გამორკვევის შედეგები მოსმენილ იქნეს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დაისახოს საჭირო ღონისძიებანი.

გ) მომავალში დაიწესოს ყოველდღიური მეთვალყურეობა კლასგარეშე კითხვის საქმეზე, გაუწიონ მასწავლებლებს პრაქტიკული დახმარება, რჩევადარიგებების მიცემით, მეთოდური ხასიათის ლიტერატურაზე მითითებით და სხვ.

დ) კლასების ხელმძღვანელებმა და ცალკე სასწავლო დისციპლინების მასწავლებლებმა გადასინჯონ სამუშაო გეგმები (წლიური ნახევარწლიური, მეოთხედური) და ფართო ადგილი დაუთმონ მათში კლასგარეშე კითხვის საკითხებს.

ე) სისტემატურად იქნეს წარმოებული მეოთხედებისა და წლის ბოლოს კლასგარეშე კითხვის ხაზით მოპოვებული მიღწევებისა და ნაკლის გაშუქება და მომავალში მუშაობის გაუმჯობესებისათვის ღონისძიებათა დასახვა.

ვ) პედაგოგიური საბჭოების, საკლასო-მეთოდური თათბირებისა და საგნობრივი კომისიების სხდომაზე სისტემატურად წარმოებდეს კლასგარეშე კითხვასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და საუკეთესო მასწავლებელთა გამოცდილების გაზიარება.

3. ვავალებ განათლების განყოფილებასა და პედაგოგიურ კაბინეტებს.

ა) განათლების განყოფილებებმა პირველ და მეორე სასწავლო მეოთხედების განმავლობაში შეისწავლონ კლასგარეშე კითხვის მდგომარეობა რაიონის და ქალაქის ყველა სკოლაში და ადგილზე აღმოუჩინონ მასწავლებლებს დახმარება.

ბ) კლასგარეშე კითხვის საქმის შემდგომი გაუმჯობესებისათვის რაიონის სკოლების მიერ ჩატარებული მეოთხედისა და წლის შედეგების დაჯამება-განხილვის დროს სისტემატურად სწარმოებდეს ღონისძიებათა დასახვა კლასგარეშე კითხვის საქმის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

გ) პედაგოგიურმა კაბინეტებმა ყოველდღიური დახმარება გაუწიონ მასწავლებლებს კლასგარეშე კითხვის საკითხებზე კონსულტაციების, საუბრების, სპეციალური ლექციებისა და სხვ. მოწყობა-ჩატარებით. სისტემატურად სწარმოებდეს აგრეთვე კლასგარეშე კითხვის ხაზით საუკეთესო სკოლისა და მასწავლებლების გამოცდილების განზოგადება.

დ) მასწავლებელთა საუბნო თათბირების სხდომაზე პერიოდულად ხდებოდეს კლასგარეშე კითხვასთან დაკავშირებული მეთოდური საკითხების განხილვა.

4. პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტმა გაითვალისწინოს მომავალ წელში მასწავლებელთა ყველა სახის კურსებზე კლასგარეშე კითხვასთან დაკავშირებული საკითხების დამუშავება.

5. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ 1940 წ. ბიუჯეტის შედგენის დროს გაითვალისწინოს ბიბლიოთეკართა შტატები ყველა საშუალო სკოლისა და მრავალკომპლექტიან არასრულ საშუალო სკოლისათვის.

6. დაწყებითი და საშუალო სკოლის კვლევითმა ინსტიტუტმა მომავალი წლის

15 თებერვლამდე უზრუნველყოს კლასგარეშე კითხვის ხაზით 2—3 საუკეთესო სკოლისა და მასწავლებლის შესახებ მონოგრაფიის შედგენა და გამოცემა, ხოლო გაზეთ „საბჭოთა მასწავლებლისა“ და ჟურნალის „კომუნისტური აღზრდისათვის“ რედაქციებმა ფართო ადგილი დაუთმონ თავიანთ ფურცლებზე კლასგარეშე კითხვის მდგომარეობის მიღწევებისა და ნაკლის გაშუქებას.

7. აღნიშნული ბრძანება გამოქვეყნდეს გაზ. „საბჭოთა მასწავლებელში“ და განხილული იქნეს ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე.

საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი

გ. კიკნაძე

39 367
ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 5716

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1939 წლის 2 ოქტომბერს.

წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაციის შესახებ ლანჩხუთის რაიონში.

აღვნიშნავ, რომ ლანჩხუთის რაიონის ხელმძღვანელ მუშაკების განგ. განყოფილების აპარატის მომუშავეთა, მასწავლებლების, სოფსაბჭოს და კოლმეურნეთა გამგეობის თავმჯდომარეების ენერგიული მუშაობის შედეგად ლანჩხუთის რაიონმა მოახდინა მოსახლეობაში (18—50 წ. ასაკამდე) წერაკითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია და ძირითადად მცირემცოდნეობის ლიკვიდაცია.

ლანჩხუთის რაიონმა ეს გამარჯვება მოიპოვა წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმისადმი ბოლშევიკური მიდგომით; წერაკითხვის უცოდინართა შორის ახსნა-განმარტებითი მუშაობის ფართოდ გაშლით, საწარმოო პრინციპის მიხედვით სწავლების ორგანიზაციით, რის შედეგად უზრუნველჰყო მეცადინეობაზე მსმენელთა ასპროცენტიანი დასწრება და კურსდამთავრებულთა მაღალი წარმატება. აღნიშნულიდან გამომდინარე ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წერაკითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის საქმეში ენერგიული მუშაობისათვის, ეუცხადებ მადლობას და ვაჯილდოვებ საქ. სსრ განსახკომის სიგელით:

1. ჩხაიძე გიორგი ისაკის-ძეს (განგ. განყოფილების გამგე)

2. მურავანიძე ნიკოლოზი ივანეს-ძეს (წ/კ. უც. და მც. მც. სკოლის ინსტრ.)

3. იმნაძე ამბროსის (ჩიბათის საშ. სკ. დირექტორი)

4. ჭყონია ფატის (ზ. ჭინათის დ. სკოლის გამგე)

5. ტაკიძე თეკლეს (ჩოჩხათის საშ. სკ. მასწავლებელი)

6. ჯიჯეიშვილი ელისეს (ჩოჩხათის საშ. სკ. მასწავლებელი)

7. ტიკარაძე ბაგრატის (ჩოჩხათის სასოფლო კლუბის გამგე)

2. დაეკალოს განგ. განყოფილების გამგეს აშწ. გ. ჩხაიძეს სისტემატურად აწარმოოს რაიონში ახლად ჩამოსულ უცოდინართა და მცირემცოდნეთა აღრიცხვა და უზრუნველყოს მათი სწავლების ქსელში ჩაბმა.

საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი

გ. კიკნაძე

პ/მგ. რედაქტორი ლ. გეგეშიძე პ/მგ. მდივანი ს. ცაიშვილი

გადაეცა წარმოებას 1/X—39 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/X—39 წ.
ფორმატი 8×12

ტირაჟი 4000. ქაღალდის ზომა—70×108
მთავლიტის რწმენებული № ო—490
შეკვეთის № 3095.

სტამბა „ზარია ვოსტოკა“ რუსთაველის პრ., № 36.